619
1979
ეროვნული
ბიბლიოთეკა



ISSN 0130-1624

# დროშა

აპრილი
№ 4 1979 წ.




ვ. ი. ლენინი

მხატვარი გიორგი ჯაში

ელექტრონული ბიბლიოთეკა



თბილისი. 11 მარტი. საქართველოს სს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემა.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

დროშა

№ 4 (508), აპრილი, 1979 წ.

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

© „დროშა", 1979 წ.

მთავარი რედაქტორი
რევაზ მარგიანი

სარედაქციო კოლეგია:
გულნარა ბახტაძე,
თენგიზ გოგოლაძე
(პ/მგ. მდივანი),
ოთარ დემეტრაშვილი,
გურამ დოჩანაშვილი,
სერგო დურმიშიძე,
დინარა ნოდია
(მხატვარი-რედაქტორი),
ლადო სულაბერიძე,
ილია ტაბაღუა,
უჩა ჯაფარიძე.

კორექტორი ქეთევან წერეთელი

# ზედიზედ მეექვსედ

1979 წლის 11 მარტს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში საზეიმოდ გაიხსნა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოს რესპუბლიკისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემას, რითაც იგი დაჯილდოვდა 1978 წელს საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით.

აქტივის კრებას ესწრებოდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, სარევიზიო კომისიის წევრები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, სამინისტროების, უწყებებისა და რესპუბლიკური დაწესებულებების, მსხვილი საწარმოების, მშენებლობის ხელმძღვანელები და პასუხისმგებელი მუშაკები, პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნები, საბჭოთა არმიის მეომრები, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი და ნოვატორები.

კრების მუშაობაში მონაწილეობდა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი ა. ი. შიბაევი, მასთან ერთად კრების პრეზიდიუმში არიან ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ზ. ა. პატარიძე, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, ბ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ .რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, ჟ. კ. შარტავა. აქვე არიან ზეიმზე ჩამოსული სტუმრები: აზერბაიჯანის სსრ დელეგაცია აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. ჰ. ნ. სეიდოვის მეთაურობით და სომხეთის სსრ დელეგაცია სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნის ამხ. პ. პ. ანისიმოვის მეთაურობით. საკავშირო პროფსაბჭოს პასუხისმგებელი მუშაკი ამხ. რ. ვ. დოლგოპოლოვი.

კრების პრეზიდიუმში არიან საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულების წარმომადგენლები.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ ზ. ა. პატარიძემ.

პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების საპატიო პრეზიდიუმში უდიდესი აღფრთოვანებით ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის მეთაურობით.

დღის წესრიგშია საკითხი: „1978 წლის სოციალისტური შეჯიბრების შედეგები და რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები, რომლებიც გამომდინარეობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა წინასაარჩევნო კრებაზე 1979 წლის 2 მარტს წარმოთქმული სიტყვიდან".

სიტყვა ეძლევა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. ა. ი. შიბაევს. მან მხურვალედ მიულოცა რესპუბლიკის მშრომელებს დამსახურებული საპატიო ჯილდო, და გულითადად მიესალმა ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის სახელით, უსურვა ახალი წარამატებანი სამშობლოს საკეთილდღეო შრომაში.

იწყება საქართველოს სსრ ხელმძღვანელებისა და მშრომელთა წარმომადგენლებისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის გადაცემის საზეიმო ცერემონია.

შეკრებილები მქუხარე ტაშით შეხვდნენ საქართველოს სს რესპუბლიკისათვის საპატიო ჯილდოს გადაცემას, ყველანი ფეხზე დგებიან.

შემდეგ მოხსენება გააკეთა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

მოხსენების გამო კამათში მონაწილეებმა, მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა ხელმძღვანელებმა — აზერბაიჯანის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. ჰ. ნ. სეიდოვმა და სომხეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა პ. პ. ანისიმოვმა საქართველოს მშრომელებს მხურვალედ მიულოცეს საკავშირო გარდამავალი წითელი დროშის მიღება.

კრებაზე მიიღეს მიმართვა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციებისადმი, რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი.

დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცეტრალური კომიტეტისადმი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევისადმი.

კრების მონაწილეებს მიესალმნენ რესპუბლიკის ახალგაზრდობის წარმომადგენლები.

მიიღეს აგრეთვე იმ ძირითად ორგანიზაციულ და პოლიტიკურ ღონისძიებათა გეგმა, რომელთა მიზანია 1979 წლის 2 მარტს ქალაქ მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებული დებულებების, დასკვნებისა და მითითებების პროპაგანდა და რეალიზაცია.

ერთ-ერთი შესვენების დროს ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას აზერბაიჯანის სს რესპუბლიკას, სომხეთის სს რესპუბლიკასა და საქართველოს სს რესპუბლიკას შორის 1979 წლის სოციალისტური შეჯიბრების შესახებ.

კრებამ მკაფიოდ ცხადყო მშრომელთა შეკავშირება ლენინური პარტიის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის, ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს და მისი მეთაურის, თანამედროვეობის გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელის, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მგზნებარე მებრძოლის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის გარშემო.

16292

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთ...

# მუხამ მხრები გაშალა

1917 წლის ივლისის ცნობილი ამბების შემდეგ ვ. ი. ლენინი იძულებული იყო არალეგალურ მდგომარეობაში გადასულიყო. ერთხანს იგი მუშა ნ. ა. ემელიანოვის სახლში იმალებოდა, სადგურ რაზლივში.

სადგურ რაზლივში ლენინი ღამით ჩავიდა. ვლადიმერ ილიას ძემ სთხოვა ნადეჟდა კონდრატეს ასულს, მასპინძელი მუშის მეუღლეს, არავისთვის არ ეთქვა, რომ იგი მათ ოჯახში იცხოვრებს. უცხო თვალს რომ გარიდებოდა, ვლადიმერ ილიას ძე კიბით ავიდა სხვენზე და იქ მოეწყო საცხოვრებლად. ლოგინი გაიშალა სურნელოვან თივაზე. სამუშაოდ ჰქონდა პატარა მაგიდა და ორი სკამი. აქ ცხელოდა, არც სინათლე იყო საკმარისი, მიუხედავად ამისა, ლენინი ძალიან ბევრს მუშაობდა.

ერთხელ ლენინს ხმაური მოესმა, დაინტერესდა, მიაყურადა: ოჯახის უფროსი ნიკოლოზი უჯავრდებოდა თავის ვაჟებს — სერიოჟას, კოლიას და ტოლიას. ბავშვებს, ტყეში კენკრის მოსაკრეფად რომ იყვნენ წასულნი, ერთი მუხის ნერგი ამოეთხარათ და თავიანთ ეზოში დასარგავად მოეტანათ.

— კი მაგრამ, შუა ზაფხულში ვინ რგავს ხეს? ეს ადრე გაზაფხულზე ან შემოდგომაზე კეთდება, — ამბობდა ნიკოლოზი. დავაში ვლადიმერ ილიას ძე ჩაერია:

— მოდით, მაინც ვცადოთ. მეც მივიღებ მონაწილეობას ამ საქმეში, — ღიმილით თქვა ლენინმა.

ვლადიმერ ილიას ძის ღიმილმა სიმხნევე და გაბედულება შემატა თავჩაღუნულ ბავშვებს. მათ გაუხარდათ, რომ ეს უცნობი სტუმარიც მათი აზრისა იყო; მასში უბრალო, ახლობელი, გულისხმიერი ადამიანი დაინახეს.

სერიოჟამ ფარდულიდან ნიჩაბი მოარბენინა.

— ნიკოლოზ ალექსანდრეს ძევ, სად ჩავატაროთ ეს უჩვეულო ცდა? — მხიარულად იკითხა ვლადიმერ ილიას ძემ, რომელმაც გადაწყვიტა ბოლომდე დახმარებოდა ბავშვებს.

— გუბურასთან, მე ვფიქრობ, ეს ადგილი ყველაზე სასარგებლოა მუხისათვის, რადგან აქ იგი წყლით უზრუნველყოფილი იქნება და, გახარების შემთხვევაში, საუკეთესო ჩრდილი გვექნება ტბის სანაპიროზე.

ეს აზრი ყველას მოეწონა. გაეშურნენ გუბურისაკენ. კოლიამ სწრაფად დაიწყო ორმოს თხრა. ტოლიამ მასში მუხის ნერგი ჩაუშვა.

— მოითმინეთ, მეგობრებო, ნუ ჩქარობთ! — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ, — უწინარეს ყოვლისა, გავერკვეთ, თუ საით არის სამხრეთი?

— აი, იქით! — ერთხმად უპასუხეს ბავშვებმა და ხელი გაიშვირეს გუბურისაკენ.

— კარგი, ახლა ვნახოთ, მუხის რომელი მხარე იზრდებოდა ტყეში სამხრეთისაკენ და ამავე მდგომარეობაში დავრგათ იგი ახალ ადგილზე. ეს ჩვენთვის ძნელი გასარკვევი არ იქნება — სამხრეთის მხრიდან ტოტები უფრო გრძელია. როცა ხე გაიზრდება, მისი ჩრდილოეთი მხარე უფრო თვალსაჩინო გახდება, ხავსით დაიფარება.

ბავშვებმა სწრაფად დაადგინეს, თუ რომელ მხარეს ჰქონდა მუხას უფრო გრძელი ტოტები; როცა ყველაფერი ნათელი გახდა და ხე ორმოში მოათავსეს, ლენინმა თქვა:

— გაასწორეთ მცენარის ფესვები, აი ასე!

იგი თვითონ ფრთხილად იღებდა თითოეულ წვრილ ფესვს დაასწორებდა, ბავშვებიც მას ბაძავდნენ. ორმოს მიწით ამოვსების წინ ლენინმა კვლავ შეაჩერა ბავშვები:

— უბედურება ის არის, რომ ჩვენ დაგვავიწყდა მიწის მოტანა იმ ადგილიდან, სადაც მუხა იზრდებოდა.

— ახლავე გავიქცევით ტყეში, ახლოა! — შეჰყვირა სერიოჟამ.

— ძალიან კარგია, მხოლოდ მიწა აიღეთ იმ ადგილიდან, სადაც ეს მუხა იზრდებოდა, — თქვა ლენინმა. ბავშვები მალე დაბრუნდნენ. ნიკოლოზ ალექსანდრეს ძემ იკითხა:

— ვლადიმერ ილიჩ, სად ისწავლეთ მებაღეობა?

ლენინმა უპასუხა:

— ბავშვობისას მამამ გვიამბო ხის დარგვის წესები, იგი მასწავლებელი იყო.

ბავშვებმა მოტანილი მიწა ხის ფესვებს დააყარეს, ზევიდან კი ორმოს ამოთხრისას ამოღებული მიწით დაფარეს იგი.

ასე დაუმეგობრდნენ მუშა ემელიანოვის ბავშვები ვ. ი. ლენინს. რასაკვირველია, მათ არ იცოდნენ, რომ სტუმარი „კონსტანტინე ივანეს ძე პეტროვი", ანუ როგორც მას ბავშვები ეძახდნენ „ძია კოსტია", ლენინი იყო, რომ მას გაშმაგებით ეძებდა პეტროგრადის ჟანდარმერია, რომელსაც მისი დაპატიმრება და ფიზიკური მოსპობა უნდოდა.

მუხამ, რომელიც რაზლივში დარგეს, გაიხარა, ამაღლდა და მომძლავრდა.

ვ. ი. ლენინის ყოფნა ფარდულის სხვენზე ხანგრძლივად შეუძლებელი იყო, ამიტომ მან რამდენიმე დღის შემდეგ, გვიან ღამით, ნ. ემელიანოვთან ერთად ნავით გადასცურა ტბის მეორე მხარეს და ცხოვრობდა ჩალურში, როგორც ფინელი მთიბავი გლეხი. აქ, „მწვანე კაბინეტში", როგორც იგი უწოდებდა ჩალურს, ვ. ი. ლენინმა დაწერა ცნობილი ნაშრომი „სახელმწიფო და რევოლუცია".

1917 წლის 8 აგვისტოს ვ. ი. ლენინმა დატოვა თავშესაფარი რაზლივში და ნ. ემელიანოვის თანხლებით ფეხით გაიარა ათეული კილომეტრი დაჭაობებული ადგილები, მივიდა სადგურ დიბუნამდე, საიდანაც მატარებლით ჩავიდა ფინეთში.

იმ ადგილზე, სადაც ვლადიმერ ილიას ძე ცხოვრობდა, ახლაც დგას თივით დახურული ფარღალალა კარავი, მიწაში ჩასობილია ორი დაბალი ორკაპა ხე, რომლის განთითებაზე გადებულია კადონი. ლენინი მასზე ჰკიდებდა თუნუქის ჩაიდანს ჩაის ასადუღებლად, ან ქვაბს, როცა საჭმელს იმზადებდა. კარვის სახურავზეა ცელი და ფოცხი, ბალახის გათიბვისა და შეგროვებისათვის. გვერდით გრანიტის კარავის ძეგლია, ხოლო მარმარილოზე ოქროს ასოებითაა ამოტვიფრული: „ამ ადგილზე, სადაც 1917 წლის ივლისსა და აგვისტოში ტოტებისაგან გაკეთებულ კარავში ბურჟუაზიის დევნას ემალებოდა მსოფლიოს პროლეტარიატის ბელადი ვ. ი. ლენინი წერდა თავის წიგნს „სახელმწიფო და რევოლუცია" — აღვმართეთ გრანიტის სამახსოვრო კარავი. ლენინის ქალაქის მუშები, 1927 წელი".

**გიორგი დათუაშვილი**

„ვ. ი. ლენინი რაზლივში". გ. გელოვანის ნახატი.



ხანგრძლივი დროის მანძილზე ახმეტის რაიონი ჩამორჩენილთა შორის იყო, უკან მისდევდა კახეთის სხვა რაიონებს. უკანასკნელ წლებში მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა. საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის პირველ მდივნად მუშაობს გამოცდილი პარტიული მუშაკი ვაჟა ბატიაშვილი, რომელმაც რაიკომი და ისი ბიურო ენერგიულად დარაზმა სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახულ ისტორიულ ამოცანათა წარმატებით განხორციელებისათვის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესასრულებლად.

„დროშის“ სპეციალურმა კორესპონდენტებმა დავით ბიწაძემ და ზაალ ბახუტიშვილმა რამდენიმე კითხვით მიმართეს ახმეტელ კომუნისტთა თავკაცს.



საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ციცინო შაბალაიძე და პარტიის ახმეტის რაიკომის პირველი მდივანი ვაჟა ბატიაშვილი.

თარხან არჩვაძის ფოტო.

# ახმეტელები

წარმატების მთავარი კრიტერიუმია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, რომელიც რაიონმა თავისი არსებობის ისტორიაში პირველად დაიმსახურა. რა შედეგებისათვის მოგენიჭათ იგი?

**— სიამაყის გრძნობით მინდა განვაცხადო, რომ მეათე ხუთწლედის მესამე წელს ახმეტის რაიონის მშრომელებმა წარმატებით დალაშქრეს ყველაზე მაღალი ზღუდეები, ვიდრე ოდესმე. ურიგო არ იქნება, მოვიშველიოთ სტატისტიკა, უბრალო მშრალი ციფრები ნათელს ფენენ დიდ საგმირო საქმეებს.**

**რაიონის მევენახეებმა სახელმწიფო მარანში მიიტანეს 44 ათასზე მეტი ტონა ყურძენი, გეგმით გათვალისწინებულზე 14 ათასი ტონით მეტი. ამ მაჩვენებელზე ვერც კი ვიოცნებებდით ექვსიოდე წლის წინათ. ახმეტელებისგან სახელმწიფომ მიიღო აგრეთვე ასობით ტონა ზეგეგმითი ხილი, მარცვლეული, ბოსტნეული და მეცხოველეობის პროდუქტები.**

**აი, კიდევ სხვა საგულისხმო ციფრებიც: რაიონის საბჭოთა მეურნეობებმა 1976 წელს აწარმოეს 12.617 ათასი მანეთის სოფლის მეურნეობის პროდუქტები. შარშან ეს მაჩვენებლები 24 მილიონ მანეთამდე ავიდა. ამჟამად რაიონის ყველა საბჭოთა მეურნეობა მომგებიანია. მთლიანი მოგება 5 მილიონ მანეთს ჭარბობს, რაც გეგმიურს ერთ მილიონზე მეტი მანეთით აღემატება. მეურნეობათა გადამწყვეტი მაჩვენებელი — რენტაბელობის დონე კი იმავე პერიოდში სამჯერ გაიზარდა და 25 პროცენტს მიაღწია, ხოლო თითოეული მუშის მიერ შექმნილი პროდუქციის საშუალო მოცულობა და გამომუშავებული ხელფასი — ორჯერ. ეს ციფრები კომენტარებს არ საჭიროებს.**

**სოფლის მეურნეობის მშრომელებს მხარი აუბეს სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც 2,3 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს. ხუთწლედის მესამე წელი ხელხვავიანი იყო მშენებლებისათვის, რომლებმაც მრავალი ობიექტი ჩააბარეს დამკვეთებს. მათ შორის, ახმეტის მეფრინველეობის მძლავრი რეპროდუქტორი, 2.400 ჰექტარი სარწყავი ფართობი და სხვა ნაგებობანი. გეგმის ზევით დიდძალი სახალხო-სამეურნეო ტვირთი გადაზიდეს ტრანსპორტელებმა. ნაყოფიერად იშრომეს სავაჭრო და საყოფაცხოვრებო სამსახურის მუშაკებმა. ერთი სიტყვით, რომ იტყვიან, ჩავარდნა არც ერთ უბანზე არ გვქონია.**

რა მიგაჩნიათ მოპოვებული წარმატებების მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორად?

**რაიონის პარტიული ორგანიზაცია, პირველადი პარტიული ორგანიზაციები და სამეურნეო ხელმძღვანელები ადგილებზე ახლა უფრო ღრმად და საფუძვლიანად წყვეტენ ეკონომიკის ამაღლების გლობალურ საკითხებს, ისინი სისტემატურად სრულყოფენ სამეურნეო საქმიანობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებს, მეტი ყურადღება ექცევა შესრულების კონტროლისა და შემოწმების ორგანიზაციას, სოციალისტური შეჯიბრების ეფექტიანობის ამაღლებას, თითოეულ შრომით კოლექტივში მაღალი მომთხოვნელობისა და პრინციპულობის სულისკვეთების დამკვიდრებას, ნაკლოვანებებისა და ნეგატიური მოვლენების აღმოსაფხვრელად ბრძოლის გაძლიერებას, ადამიანთა საქმიანობის ყველა უბანზე სამეურნეო ამოცანების იდეოლოგიურად უზრუნველყოფას, შესაბამისად წარმოების გადიდებას და შრომის მაღალ შედეგიანობას. წარმატების მიღწევაში დიდად შეგვიწყო ხელი შრომითმა მეტოქეობამ ლენტეხისა და სტავროპოლის მხარის გეორგიევსკის რაიონებთან. მეგობრები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებასა და უწევენ პრაქტიკულ დახმარებას.**

სახელოვან გამარჯვებაში რომელმა შრომითმა კოლექტივებმა შეიტანეს უფრო ღირსეული წვლილი?

**— ყველაზე უკეთესი მაჩვენებლები აქვს ოჟიოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობას, რომელსაც გ. ირემაძე თავკაცობს, ხოლო იქაური კომუნისტების წინამძღოლია გ. მეზვრიშვილი. ოჟიოელებმა ჰექტარზე 90 ცენტნერი ყურძენი მოიყვანეს და საზოგადოებრივ მარანში 4.246 ტონა ყურძენი, ანუ გეგმიურზე 1.546 ტონით მეტი მიიტანეს. აქ სხვა დარგებშიც კარგად აქვთ საქმე, მეურნეობის რენტაბელობა 51 პროცენტია, მოგებამ კი 750 ათას მანეთს გადააჭარბა.**

**სამრეწველო საწარმოთა შორის თავის მოცულობით გამოირჩევა ახმეტის ღვინის ქარხანა. მისმა დირექტორმა შ. პაპუნაშვილმა და პარტბიუროს მდივანმა გ. გოგოსაშვილმა ენერგიულად დარაზმეს კოლექტივი, შეუფერხებლივ მიიღეს და გადაამუშავეს გათვალისწინებულზე ათასობით მეტი ტონა ყურძენი. ქარხნის კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ყველა პროდუქციას ხარისხის ნიშნით უშვებს. „ახმეტის“, „ბახტრიონის“, „თელავის“, „ჰერეთის“ და „გარეჯის“ ეტიკეტებს ხუთკუთხოვანი ემბლემა ამშვენებს.**

**ხუთნახევარი მილიონი მანეთის პროდუქცია გამოუშვა შარშან ახმეტის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატმა და გეგმას დიდად გადააჭარბა.**



ქვემო ალვანის მეღორეობის ფერმის მომვლელები: (მარცხნიდან) ციცინო შაბალაიძე, ნარგიზა ილურიძე( ბრიგადირი), იზოლდა ინაური, ნინო კალანდაძე და იზა ბუქვაიძე.



ახმეტის ღვინის ქარხანა. დირექტორი რესპუბლიკის დამსახურებული მეღვინე შოთა პაპუაშვილი და ლაბორატორიის გამგე ნინო შაშიაშვილი.

შრომა კიდევაც დაუფასდათ. კომბინატის შრომისმოყვარე კოლექტივმა, რომელსაც ათი წელია უნარიანად უძღვება ინჟინერი ალბერტ შაშიაშვილი, შარშანდელი მაჩვენებლებით გაიმარჯვა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში და ხელთ უპყრია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. აქ გამოშვებული ძვირფასი მარმარილო და კავკასიური ნაბდები ქვეყნის მრავალ კუთხეში იგზავნება. განსაკუთრებით რაიონის მევენახეები არიან მათი საქმიანობით კმაყოფილნი. კომბინატი მევენახეებს სისტემატურად უმზადებს დიდძალ რკინა-ბეტონის სარს, რომლის ხარისხი საუკეთესოა და ყინვა ვერას აკლებს. აქ უშვებენ აგრეთვე სამშენებლო მასალებს და პარკეტს; მათზე დიდი მოთხოვნილებაა. სამშენებლო ორგანიზაციათა შორის გამოირჩევა ტრესტ „ალაზანმშენის“ მესამე სამშენებლო სამმართველო, რომელიც დავალებას მუდამ რიტმულად ასრულებს. დიდი სიხარული და ხალისი მიანიჭა რაიონის მშრომელებს „თბილგვირაბმშენის“ მეცხრე სამმართველომ, რომელმაც დათქმულ დროში გაიყვანა საავტომობილო გზა მაღალ მთიან თუშეთში. ასრულდა ამ მხარის მკვიდრთა ძველი ოცნება.

შეუძლებელია ახმეტის რაიონზე ილაპარაკო და მისი სატყეო მეურნეობის კოლექტივის კეთილი საქმე არ ახსენო. ხუმრობა საქმე როდია, 87 ათას ჰექტარზეა გაშლილი აქაური ტყის მასივები. სატყეო მეურნეობის კოლექტივი მეტყევე-ინჟინერ ს. არაბულის ხელმძღვანელობით არა მარტო იცავს ერის საუნჯეს ბოროტი ადამიანების ხელყოფისაგან, არამედ გეგმიანად აწარმოებს მოვლით და სანიტარულ ჭრებს და ახალი ტყეების გაშენებას, იცავს და ამრავლებს აგრეთვე ტყის ბინადართ. ეს ადამიანები ხალხის სიყვარულს იმსახურებენ.

გთხოვთ, მოგვითხროთ რაიონის სახელოვან ადამიანებზე.

— ისინი ბევრნი არიან, მათზე დაუსრულებრივ შეიძლება საუბარი. ცოტა არ იყოს, უხერხულ მდგომარეობაში ვარ. რომელი ერთი დავასახელო. რაიონის მოწინავეთა გალერეას კვლავაც ამშვენებს ვეტერანი მევენახე, სოციალისტური შრომის გმირი, პენსიონერი გიგლა ხარიტონაშვილი, რომელმაც გაპიროვნებულ ერთ ჰექტარზე შარშან 130 ცენტნერი ყურძენი მოკრიფა, რაც გეგმიურს 70 ცენტნერით ჭარბობს. ნოვატორი მეაბრეშუმე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ოსანა აივაზაშვილი ხანდაზმულობის მიუხედავად ყოველწლიურად დიდი გადაჭარბებით ასრულებს აბრეშუმის პარკის წარმოების დავალებას. მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვის შექმნის საქმეში თავის ავტორიტეტულ სიტყვას ამბობს ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის სანაშენო ბრიგადა, რომელსაც კომუნისტი ნაზო პეტრიაშვილი ხელმძღვანელობს, ბრიგადა უკვე მომავალი ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს.

ვეტერანთა გვერდით მკლავმოუღლელად შრომობენ ჭაბუკები და ქალიშვილები. მათ შორის არიან ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეღორე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ციცინო შაბალაიძე, მეცხვარე ჟორა რაინაული, რაიონული საბჭოს დეპუტატები ახმეტიდან და ქისტაურიდან ლუბა ქინქლაძე და იზა შლაპაშვილი, ბრიგადირი პანკისიდან ელზა ცხოვრებოვა... ნოვატორთა რიგები რაიონში სისტემატურად იზრდება. ისინი შრომობენ დევიზით: „გუშინდელი რეკორდი — დღევანდელი მიჯნაა!“

როგორია მიმდინარე წლის პერსპექტივები?

— ჩვენი მიზანია არ დავკარგოთ მიღწეული, მოვიპოვოთ ახალი თვალსაჩინო წარმატებები, კვლავაც შევინარჩუნოთ მაღალი ჯილდო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ასეთი პირობა დავდეთ საზეიმო სხდომაზე, რომელიც 6 მარტს გაიმართა და დროშის გადაცემას მიეძღვნა. ეს დიდი ოცნებაა, მისი განხორციელებისათვის მარტო სურვილი არ კმარა, მთავარია შეუპოვარი, თავდადებული შრომა.

ჰოდა, სადაც არ უნდა მიხვიდეთ ახლა — ზვრებში თუ ხეხილის ბაღებში, პურის თუ სიმინდის ყანებში, ბოსტნებში თუ სათიბებში, მეცხოველეობის ფერმებში თუ სამრეწველო საწარმოებში, ყველგან სუფევს სიხარული და შემოქმედებითი შრომის ატმოსფერო. შარშანდელზე უკეთ მიდის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, მრავლდება პირუტყვი და ფრინველი, იზრდება სამრეწველო ნაკეთობათა წარმოება, შენდება ახალი ობიექტები და საწარმოთა კორპუსები. შრომის ასეთი ჰეროიკა არ ახსოვს კავკასიონის მთების კალთებზე შეფენილ ახმეტის რაიონს, ისტორიული ბახტრიონის ციხის ქონგურებს.

გვაქვს სრული გარანტია განვაცხადოთ, რომ ახმეტის რაიონის მშრომელები ვადამდე ადრე უპატაკებენ სამშობლოს მეათე ხუთწლედში ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებას, მუდამ წინსვლისა და გამარჯვების გზით ივლიან. ეს იქნება კომუნიზმისკენ ძლევამოსილი სვლა.

ახმეტის რაიონის ადგილობრივი მრეწველობის კომბინატის ვენახის სარების საამქრო.

მარცხნიდან: მუშები პეტო პატარკაციშვილი, ნოდარ ხუბულური, საამქროს უფროსი დიმიტრი ნინევი და კომბინატის დირექტორი ალბერტ შაშიაშვილი.



# მიწის სიყვარული



ეროვნული ბიბლიოთეკა

აი, სწორედ ასეთი ადამიანები ამშვენებენ სოფელს.

შურა მესხიშვილი მაღალ-მაღალი, ბეჭებში ლალად გაშლილი ვაჟკაცია, მორიდებულ მიხვრა-მოხვრასა და სიტყვაძვირ საუბარში რაჭული სიდინჯე დაჰკრავს.

— ჩემი ბიოგრაფია? — შეკითხვაზე შეკითხვას გვიბრუნებს იგი და ჩვეული სიდინჯით გვიყვება თავის გარდასულ დღეთა ამბებს.

ონის რაიონის სოფელ ბარში დაბადებულა. აი იქ, ცამდე აწვდილ მთებში — ჯიხვებისა და არწივების სალაღობელზე აუდგამს ფეხი, დავაჟკაცებულა, მამაპაპათა საფლავებიც იქ ეგულვის; ამიტომაც არის, თავისი წილხვედრი ცხოვრების სვე იქვე უნდა გალიოს და გაიტანოს ბოლომდე.



მთიბავი შურა მესხიშვილი.

თარხან არჩვაძის ფოტო.

სორის საბჭოთა მეურნეობის მთიბავები.



სხვანაირად არც შეიძლება! როცა სოფელს მუშახელი აკლია, როცა საქმეს მისი მარჯვენის შეხიდებაც სჭირდება, აბა რა გული გაუძლებს, რომ ზოგიერთებივით აიყაროს და მშობლიურ კუთხეს გაერიდოს?!

რა დასამალია, რაჭის მთებზე შეფენილი სოფლებიდან დღესაც ბევრი უკეთური გაურბის და ემიჯნება თავის კუთხეს. აიყრება და მოშლის ნაფუძვარს, გააპარტახებს ეზო-ყურეს, მიატოვებს იავარქმნილ მამაპაპათა საფლავებს და ჰაიდა! რაღაც სარფის, რაღაც არამი გამორჩენის მიზნით, ჯალაბიანად იხიზნება ხან სადა და ხან კიდევ სად!

ამ სამიოდე წლის წინათ, როცა ონის რაიონში სორის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა, რამდენიმე კოლმეურნეობასთან ერთად, სოფელი ბარის კოლმეურნეობაც გაერთიანდა ამ საბჭოთა მეურნეობაში.

ახლად ჩამოყალიბებული საბჭოთა მეურნეობის წინაშე დიდი და საპატიო ამოცანა დაისახა: მას მტკიცედ უნდა აება მხარი იმ საერთო-სახალხო ლაშქრობისათვის, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში გაიშალა მეცხოველეობის დარგის სწრაფი და განუხრელი აღმავლობისათვის.

საქმის დაწყების თავიდათავი პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა იყო. მეტი ხორცის, მეტი რძის წარმოებისათვის, საბჭოთა მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრისათვის, რაღა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, სწორედ საკვებმოპოვების რთული პრობლემა უნდა გადაჭრილიყო.

საბრძოლო მიზანი ნათელი იყო: ვისაც გული ერჩოდა, ვისაც ხალხის სიკეთე სურდა, ვისთვისაც მართლაცდა ძვირფასი იყო რესპუბლიკის პრესტიჟი — დაუყოვნებლივ უნდა ჩაბმულიყო ბრძოლაში.

ერთ-ერთი პირველი, რომელიც სორის ახლად ფეხადგმულ საბჭოთა მეურნეობას შეეხიდა შემწედ და იმედად, კომუნისტი შურა მესხიშვილი გახლდათ.

ზოგიერთს გაუკვირდა კიდეც: შურა მესხიშვილი წლების მანძილზე კოლმეურნეობაში ხან ბრიგადირად, ხან ფერმის გამგედ, ხან კიდევ სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობდა და ახლა უბრალო მუშად, ხელში ცელმომარჯვებულ მთიბავად როგორ უნდა გადაიქცესო?!

ნურას უკაცრავად! თუ საჭირო გახდება, მთიბავადაც გადაიქცევა და დურგლადაც! საცა სოფელს უჭირს, საცა საქმე მოითხოვს, საცა მისი შრომაში გამობრძმედილი მარჯვენაა საჭირო — ყველგან შემწედ და დამხმარედ შეიძლება იგულოთ შურა მესხიშვილი!

საგანგებოდ ჩამოყალიბებულმა მთიბავთა ბრიგადამ მთელი ზაფხული შორს, ჭიუხების მიღმა შეფენილ მთის ფერდობებზე გაატარა.

ჯერ ხულა და კარვები დასცეს, ოჯახებიდან მოწყვეტილმა ბიჭებმა სხვადასხვა სამეურნეო საკითხები მოაგვარეს და მერე იცოცხლეთ — შეუტიეს და შეუტიეს საქმეს.

დილიდან გვიანობამდე გაჰქონდათ შხუილი ცელებს. ითიბებოდა და ხვავდებოდა მიუვალ მთებში წვიმისაგან წელამდე წამოზრდილი და მომძლავრებული პირუტყვის საკვები.

სიმღერის გარეშე, აბა, რა ფხა და ფასი აქვს ცელით შრომას? ჯერ ვარლამ მუსერიძე წამოიწყებდა სიმღერას, მერე ხარიტონ ბუხრაშვილი და შურა მესხიშვილიააყოლებდნენ ხმას, ახლა ვენია ლებანიძე, კანგორ პეტრიაშვილი და სხვები დასჭექავდნენ ხოლმე „ჰოპუნას" და დევებივით ბუბუნებდა თავზე წამომხობილი ზვიადი მთების ექო.

— ზამთარში? ზამთავრში რაღას ვაკეთებ? — შეკითხვაზე ისევ შეკითხვას გვიბრუნებს შურა მესხიშვილი და ფიქრებში წასული გასცქერის ზეცას.

გამრჯე და მშრომელ კაცს არც ზამთარში გამოელევა საქმე.

ჩათავდება ზაფხული, დაბრუნდება მთიდან საკვებმომპოვებელი შურა მესხიშვილი და ახლა ფერმაში დატრიალებს დილიდან საღამომდე.

აგერ პირუტყვის იმ სადგომს ჭერი აქვს შესაკეთებელი, გახედეთ, იქითა სადგომს აუცილებლად უნდა შეურემონტდეს კარი, გვერდით საკვების გასაცემი ბაგებია წესრიგში მოსაყვანი, იქით კიდევ მორყეული ბოძი უნდა გაამაგროს სასწრაფოდ...

დააბიჯებს დურგლად, ხარატად, სანტექნიკოსად ქცეული საკვებმომპოვებელი და თანასოფლელთა ალალ ღიმილში მისდამი სიყვარულსა და პატივისცემას ხედავს ყველგან.

საბჭოთა მეურნეობა, რომელსაც ბიძინა მინდელი ხელმძღვანელობს, თანდათან მძლავრდება, ათასამდე ადგილობრივი ჯიშის მეწველ ძროხას უკანასკნელ ხანებში მოძმე რესპუბლიკებიდან შემოყვანილი მაღალპროდუქტიული ფურებიც შეემატა. თანდათან გაიზარდა. წველადობაც და ნამატიც...

და ამ საერთო საქმეში, ამ მიღწეულ წარმატებაში თავისი წვლილი, გულმართალი შრომით შექმნილი წვლილი, შურა მესხიშვილსაც შეაქვს.

შარშან მან 30 ტონა მოცელილი ბუნებრივი საკვები ჩააბარა საბჭოთა მეურნეობას. ესეც ცოტაა. მეათე ხუთწლედის მეოთხე წელს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, რომ კიდევ უფრო მეტი საკვები დაამზადოს, მეტი წვლილი შეიტანოს მეცხოველეობის აღმავლობის საერთო-სახალხო ლაშქრობაში.

ოთარ ქავთარაძე

მატარებელმა ერთხელაც მიაკივლა დილის ბურუსში მიყუჩებულ სტეპს და უცნაურის მოლოდინში შეგვატოვა თეთრად შეფეთქილ პატარა სადგურს.

კოჩუბეი... ყიზლარის ზამთრის საძოვრების ცენტრი: პირველი, რაც ახლად ჩასულის ყურადღებას მიიპყრობს, ეს ერთმანეთში არეული სხვადასხვა ხმებია: ქართული, რუსული, აზერბაიჯანული, სომხური, ჩეჩნური და თვით დაღესტნელებისთვისაც გაუგებარი მათივე თანამემამულეების მრავლად დანაწევრებული ენა და კილოკავი.

უცხო მხარეში მოხვედრისას, პირველი შთაბეჭდილება მთელი იქ ყოფნის მანძილზე გაგყვება. ძნელია სწრაფად შეეგუო ახალ გარემოს, მაგრამ კოჩუბეიშიც სუნთქავს „პატარა საქართველო". აგერ, მოალაჯებს მძიმე ბარგაკიდებული, სახეგარუჯული კაცი. ტყაპუჭი მუხლებს ქვემოთ ებლანდება, ხოლო შუბლზე ჩამოცურებული ფაფახის ხშირი ბეწვებიდან წამდაუწუმ გაიკვესებენ მოელვარე თვალები. კაცი ესალმება მარცხნივ და მარჯვნივ, ნაცნობსა და უცნობს. აჩქარებით მიმავალს რომელიმე როგორ ხართო დაადევნებს და ისიც წამით შეყოვნდება, ოდნავ შებრუნდება და იმედიანად იტყვის:

— ჩვენც კარგად ვართ და ცხორიც.

მის სიმართლეში არავის ეპარება ეჭვი, უჯერებს ყველა: დიდიც და პატარაც, ნაცნობიც და უცნობიც, მისი უშუალობა შენც აგიტაცებს, სადღაც ქრება წინასწარ დაგეგმილი, ტრადიციული კითხვები და იმართება ძალდაუტანებელი, ყოველგვარ ოფიციალობას მოკლებული საუბარი ცხვარ-მწყემსზე, ამინდზე, თანამოსაქმეებზე... საუბრისას ორივე ხვდებით, რომ იქ, ადგილზე, შემჭვარტლულ ბინაში, თუ ცხვრის ბლავილსა და ბატკნების კუნტრუშში უფრო გულითადი და საქმესთან ახლოს იქნება ეს საუბარი. ამიტომ გადიხარ სტეპში. გამოუცდელობის გამო ცოტათი იბნევი კიდეც — ოთხივე მხარეს მიდის გზა, დაკენჭილი და თხრილებით გადასერილი.

ზამთრის საძოვრებზე წელს უჩვეულო ამინდებია. ბუნება თითქოს კაცის საწადელს მიმხვდარაო, ზამთრის მიმქრალი მზის სხივებითა და სიმყუდროვით ამოუვსია ქარებითა და ყინვებით განებივრებული სტეპი. თუმცა რაც არ უნდა გაჭირვეულდეს ზამთარი, ცხვარი ყოველმხრივ უზრუნველყოფილი იქნება, რადგანაც ყიზლარის ზამთრის საძოვრების სამმართველომ დროულად და საკმაო რაოდენობით მოიმარაგა უხეში და კომბინირებული საკვები.

## თიანეთელთა საზრუნავი

თიანეთის „რაიცხოველმრეწვის"" გაერთიანებაში ერთ-ერთი ძირითადი დარგია მეცხვარეობა. ამ გაერთიანების ათეულ-ათასობით ცხვარი იზამთრებს ნოღაის ველზე.

„რაიცხოველმრეწვის" გაერთიანება, როგორც პრესაშიც აღინიშნა, წლების განმავლობაში ჩამორჩენილთა რიგებში იმყოფებოდა. სისტემატურად არ სრულდებოდა საწარმოო გეგმები, მოდუნებული იყო პარტიული მუშაობა, ყურადღება არ ექცეოდა კადრების შერჩევასა და განაწილებას. სწორედ ამის შესახებ ლაპარაკობდა გულისტკივილით გაერთიანების დირექტორის ახლანდელი მოადგილე, მეცხვარეობის სამმართველოს უფროსი შოთა სინჯარაძე, რომელმაც ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა ღონისძიებებს ატარებს ახალი ხელმძღვანელობა არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, გვითხრა:

— ყველაზე არსებითი ნაკლოვანება, რომელიც წლების განმავლობაში ღრმავდებოდა „რაიცხოველმრეწვში", ეს იყო უკონტროლობა, საქმისადმი თვითნებური დამოკიდებულება. არ ხდებოდა დაცემული, სახელმწიფოსათვის მიყიდული და პირადი საქონლის აღრიცხვა. ახალმა ხელმძღვანელობამ მუშაობის პირველივე დღიდან გეზი ამ მიმართულებით აიღო. დაწესდა მკაცრი კონტროლი; ამ მხრივ საინტერესოა დაცემის აღრიცხვის ახალი სისტემა: თუ ადრე დაცემის აღრიცხვა ხდებოდა მარტოოდენ ცხვრის ტყავისა და ყურების მიხედვით, ახლა მარტო ეს არ კმარა. ბრიგადირი ვალდებულია მათთან ერთად წარმოადგინოს ხორციც. ახალმა სისტემამ საგრძნობლად შეამცირა დაცემული საქონლის რაოდენობა. ამაზე მეტყველებს შემდეგი ციფრები: თუ 1978 წლის იანვრის თვეში დაეცა ხუთასი სული, მიმდინარე წლის იმავე თვეში ეს რაოდენობა შემცირდა 206 სულამდე. ამ სისტემის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით გაერთიანებაში შემოიღეს მატერიალური წახალისების შემდეგი ფორმა: ყოველთვიურად აჯამებენ შედეგებს და ის ბრიგადა, რომელშიც ყველაზე ნაკლები დაცემა იქნება, ჯილდოვდება ფასიანი საჩუქრით.



ფარეხში.

ბუნებრივია, მხოლოდ ორგანიზაციული სიახლეებით შორს ვერ წახვალ, მეცხვარეობას სჭირდება მტკიცე საკვები ბაზა. ამ მხრივ „რაიცხოველმრეწვის" გაერთიანება და, საერთოდ. თიანეთის რაიონი მომზადებული შეხვდა ზამთარს. კერძოდ, გაერთიანებაში დამზადებულია 5100 ტონა უხეში და წვნიანი საკვები. გარდა ამისა, გაერთიანებას გააჩნია კომბინირებული საკვების საკმარისი მარაგი.

მეცხვარეობაში ყველაზე პასუხსაგები პროცესია დოლი. სწორედ ამ პერიოდში ხდება განვლილი წლის მუშაობის შეჯამება და მომავალი წლის საფუძვლის ჩაყრა. ამ თვალსაზრისით, ცხადია, დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის სწორ ორგანიზაციას, ფერმების თითოეულ ბინის დაკომპლექტებას, როგორც მუშახელით, ასევე მოსამსახურე პერსონალით, ინვენტარით, მედიკამენტებით და სხვა.

თიანეთის „რაიცხოველმრეწვის" გაერთიანებაში მასიური დოლი დაიწყო 5 თებერვლიდან. მას წინ უძღოდა მოსამზადებელი პერიოდი, როდესაც შეაკეთეს სამჩვილეები, დედაცხვრის სადგომები, შემოზიდეს სათანადო ინვენტარი და ბრიგადები დაკომპლექტდა დამხმარე მუშახელით.

საყოველთაო ჭეშმარიტებაა, რომ რაც არ უნდა უნარიანი ხელმძღვანელი ჰყავდეს საწარმოს, რაც არ უნდა კარგი ბუნებრივი პირობები იყოს, მთავარი და გადამწყვეტი მაინც შრომის პროცესში უშუალოდ დასაქმებული ადამიანია, მისი კვალიფიკაცია, საქმისადმი დამოკიდებულებაა. თიანეთის „რაიცხოველმრეწვში" ეს ყველაზე მტკივნეული საკითხია. ამისი თავიდათავი მიზეზი წლების განმავლობაში გამეფებულ არაჯანსაღ ატმოსფეროში უნდა ვეძიოთ. ამიტომაა, რომ მწყემსების უმეტესობა დაქირავებულია, ბევრი მათგანი შემთხვევით მოხვედრილა აქ, ანდა დროებით უტვირთავთ მწყემსობა. როდესაც ამის შესახებ მწყემსებს ვესაუბრებოდით, ვეტერანმა მეცხვარემ, № 2 ფერმის თავჩობანმა შაქრო ჭურჭელაურმა თქვა:

— პირველად 30 წლის წინ ჩამოვედი ყიზლარში, მას შემდეგ ყოველ წელს მოვყვები თეთრ ქარავანს. ახლა ახალგაზრდობა ნაკლებად მოდის ცხვარში, ეს კი ყურადსაღები საქმეა, ყველას საზრუნავი და საფიქრალი.

დიახ, ახალგაზრდობა ნაკლებად მიდის ცხვარში და ამის მიზეზი მრავალზე-მრავალია, კარგად თქვა შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა, 40 წლის მეცხვარული სტაჟის მქონე გიორგი ხოსროშვილმა:

— მე კი გავძლებ, მაგრამ ახალგაზრდობა... ახალგაზრდობა ჯერ კიდევ დაუღვინებელია, სულ სხვა პირობებში აღიზარდა, ის სხვაგან უკეთეს ცხოვრებას ხედავს და მიდის ქალაქად, ან სულაც სოფელში რჩება. მესმის მათი, ნუთუ არ შეიძლება კვირაში, ანდა ათ დღეში ერთხელ, ჟურნალ-გაზეთები მოგვიტანონ. ვიცი, საამისოდ მანქანაცაა გამოყოფილი, მაგრამ ვის უნახავს. ამ საქმის მოვლა არცთუ ისე ძნელია, თუ გული გულობს და ვისაც ეს ეკითხება, ცოტა გულისყურით მოეკიდება ჩვენს სამდურავს.

არავინ იფიქროს, თიანეთში არ იყვნენ ახალგაზრდა მწყემსები, არავინ აგრძელებდეს მამა-პაპათა ტრადიციებს.

გაერთიანების № 2 ფერმის ერთ-ერთი თავჩობანია ახალგაზრდა შ. ჭინჭარაული — ენერგიული, საქმის მცოდნე და საერთო საზრუნავისთვის თავგამოდებული კაცი. „რაიცხოველმრეწვის" ხელმძღვანელობამ მას ჩამორჩენილი, უყურადღებობისგან ჩავარდნილი ფარა ჩააბარა და სულ მოკლე ხანში იგი მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

დუშეთის რაიონის ახალგაზრდობის მოწოდებას პირველი გამოეხმაურა ქიტესა ქიტესაშვილი. საბჭოთა არმიის რიგებიდან დაბრუნების შემდეგ კომკავშირული საგზურით წავიდა ცხვარში და მეორე ზამთარს ატარებს ნოღაეთში. არც აპირებს უღალატოს თავის არჩევანს.

ასევე კომკავშირული საგზურით წავიდა ცხვარში ჯემალ ჭურჭელაური. კარგი მუშაობისთვის პარტიის თიანეთის რაიკომმა იგი დააჯილდოვა ფასიანი საჩუქრით.

ერთი ორგანიზაციის — თიანეთის „რაიცხოველმრეწვის" მაგალითზე შეიძლება დავასკვნათ, თუ რა დიდ მუშაობას ეწევა თიანეთის რაიონის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაცია, რაიონში ჯანსაღი ატმოსფეროს შექმნისთვის, რაც იმის საწინდარია, რომ თიანეთი სულ მოკლე ხანში ჩადგეს მოწინავეთა რიგებში.

## ლენინგორელთა მაღალი მიჯნა

კოჩუბეის რამდენიმე კილომეტრით გავცდით. გზებით დასერილ ტრამალზე მივქრივართ.

— აგერ ჩვენი რაიონის ფარები, — ღიმილით გვეუბნება ჩვენი მეგზური, ლენინგორის რაიონის სახალხო კონტროლის თავმჯდომარე ემანუილ მარგიევი.

სტეპზე ნისლი ჩამოწოლილიყო და თვალსაწიერზე მაინც ცხადად ჩანდნენ თეთრი ფარები, რომლებიც გაურკვეველი მიმართულებით გარბოდნენ.

მძღოლს ეშმაკურად ეღიმება:

— „სწრაფმავალი" ფარები კი დაგვიდის ნოღაის ველზე...

ნანახმა ჩვენც დაგვაეჭვა და მალე დავრწმუნდით, რომ მანქანის ხმაზე დაფრთხალი, სტეპის ბინადარნი — საიგაკები — სწორედ ის „ფარები" ყოფილან, რომლებიც ემანუილმა „შემოგვატყუა".

გზა მხიარული საუბრით გავაგრძელეთ და მივედით ლარგვისის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ცენტრში. მწყემსთა სრული წესრიგი და სისუფთავეა.



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნოღაის ველზე — მეცხვარეებთან

გულღიად მიგვიპატიჟეს და ჩვენც დავყევით მათ ნებას. პირველად თვით ემანუილ მარგიევს ვთხოვეთ მოეთხრო ლენინგორის რაიონის ცხვარ-მეცხვარეთა საერთო მდგომარეობაზე:

— ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე ჩვენი რაიონიდან იზამთრებს 86 ათას სულზე მეტი ცხვარი. დოლი ძირითადად იწყება თებერვლის პირველი რიცხვებიდან, მაგრამ ზოგიერთი ბრიგადის ფარებში უკვე მრავლადაა „ბიჭა" ბატკნები.

ჩვენი რაიონის საბჭოთა მეურნეობის სამ ფერმაში, რომელთა თავჩობნებიც არიან ვასილ თამარაშვილი, უთურ ბედოევი და ვარდო ფსუტური, — მიღებულია სამას-სამასი ბატკანი. ასევე კარგად დაიწყო დოლი ლარგვისისა და დადიანეთის კოლმეურნეობების ფარებში. ბრიგადაში, რომელსაც ახალგაზრდა გურამ სუხაშვილი ხელმძღვანელობს, უკვე მიღებულია 1500-მდე ბატკანი.

მიღებული ნამატი ჯანსაღია და ჯერჯერობით დაცემას ადგილი არა აქვს.

თათბირზე, რომელიც გაიმართა მწვანე არტეზიანზე, კოლმეურნეობების ბრიგადირებმა და ფერმის ხელმძღვანელებმა გააანალიზეს არსებული მდგომარეობა, რეზერვები და მიიღეს გადიდებული ვალდებულებები: საშუალოდ ასი ნერბიდან მიღებული და შენარჩუნებული იქნება 88 ბატკანი. უფრო მაღალი ვალდებულებები იკისრეს სოფელ უკანა მხრის კოლმეურნეობების მეცხვარეებმა, რომლებმაც გადაწყვიტეს, ყოველ ასი ნერბიდან მიიღონ 97 ბატკანი. მათ სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს დადიანეთის კოლმეურნეობის მეცხვარეები, რომლებსაც შარშან ყოველ ასი ნერბიდან მიღებული ჰქონდათ 96 ბატკანი.

ყველაზე მაღალი ვალდებულებები იკისრეს ჩვენი რაიონის მოწინავე თავჩობნებმა: ძუბა ხინჩაგოვმა, შალიკო შიუკაშვილმა, ფედრა ბალხანიშვილმა, ზაქარია რუსიკაშვილმა და ამირან ქარქუსოვმა, რომლებმაც პირობა დადეს ყოველ ასი ნერბიდან გამოზარდონ ასი ბატკანი.

დასახული გეგმების განხორციელებისათვის ყოველგვარი პირობაა შექმნილი. მეცხვარეთა ბინები და ცხვართა სადგომები დროულად იქნა შეკეთებული. უხეში საკვები საკმარისი რაოდენობით გვაქვს, დროულად და საკმარისი რაოდენობით გვაწვდიან აგრეთვე კომბინირებულ საკვებს. რაც მთავარია, ყველა ფარა დაკომპლექტებულია საჭირო რაოდენობის დამხმარე მუშახელით.

დოლისთვის წინასწარი სამუშაოების წარმატებით ჩატარებისა და, საერთოდ, ჩვენს ყოველგვარ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით როგორც ყიზლარის ზამთრის საძოვრების უფროსს ამხ. რამაზ აბაშიძეს და მის მოადგილეს ჯემალ კობაიძეს, ასევე სამხრეთ-ოსეთის საზამთრო საძოვრების უფროსს ისაკ ჩარაევს, რომლებიც ყოველდღიურად ზრუნავენ მეცხვარეთა პირობების გასაუმჯობესებლად.

ჩემი საზრით, შექმნილია ყველა წინაპირობა დოლის წარმატებით ჩატარებისათვის და ცხვრის კარგად გამოზამთრებისათვის. წელს უკეთეს შედეგებს ველით ვიდრე შარშან.

ემანუილ მარგიევის საუბარს ვაგრძელებთ მწყემსებთან.

* * *

ლენინგორის რაიონში ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა ლარგვისის კოლმეურნეობა. მეცხვარეობა ამ სოფლის უძველესი და ტრადიციული დარგია. ამ ტრადიციებს დღეს ერთგულად აგრძელებენ საქვეყნოდ ცნობილი თუ ახალბედა მეცხვარეები. თუ რა შეუძლია თაობათა ურთიერთდამოკიდებულებას, გამოცდილებასა და ახალგაზრდული შემართების შეერთებას, კარგად ჩანს იმ ბრიგადის მაგალითზე, რომელსაც ხელმძღვანელობს გურამ რუსიტაშვილი. ამ ბრიგადას არც მრავალნაცადი მეცხვარეები აკლია და არც ჯერ კიდევ დაუღვინებელი, ენერგიით სავსე ახალგაზრდობა.

ალბათ საკუთარ თავს არ იცნობს ისე, როგორც ცხვარს, ოქტომბრის რევოლუციის ორდენის კავალერი ზაქარია რუსიტაშვილი. მარტო რაიონში კი არა, მთელს რესპუბლიკაში გაითქვა სახელი შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა შაშო შერმადინმა. მათ გვერდით შრომობენ სრულიად ახალგაზრდა თამაზ და ზურაბ შერმადინები. რვა კლასის დამთავრების შემდეგ მამისა და ძმის კვალს გამოყვა უშანგი რუსიტაშვილი, რომელიც პირველ ზამთარს ატარებს ნოღაის ველზე. ასე რომ, ამ ბრიგადაში ყველაფერი თავის ადგილზეა და მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, კაცი მართლაც მკვდარი უნდა იყოს, აქ რომ საქმე არ გამოუვიდეს.

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

**ᲝᲗᲐᲠ ᲛᲔᲝᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ,**
**ᲨᲔᲠᲛᲐᲓᲘᲜ ᲥᲐᲚᲓᲐᲜᲘ**

ყიზლარის ზამთრის საძოვრების სამმართველოს უფროსი რამაზ აბაშიძე.



# ქართველი მფრინავი ქალები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სამამულო ომის დაწყებისთანავე სპორტსმენ ავიატორთა უმრავლესობა ფრონტზე წავიდა. მათ შორის ქალთა 587-ე ბომბდამშენ პოლკში იბრძოდნენ ცნობილი ქართველი მფრინავი ქალები ირინა ოსაძე, თამარ მელაშვილი, პირველი ქართველი შტურმანი ქალი გალინა ტურაბელიძე...

ირინა კიევში დაიბადა. საშუალო სკოლაში გატაცებული იყო საწყლოსნო სპორტით და მუსიკით. ირინას მამა კარგი მუსიკოსი იყო. ქალიშვილი მალე ავიაციამ გაიტაცა. ფრენის სიყვარულმა ირინა ფეოდოსიის თავდაცვა-ავიაქიმის აეროკლუბში მიიყვანა, რომელიც წარჩინებით დაამთავრა.

— კომკავშირის საგზურით, —იგონებს ირინა, — ხერსონის თავდაცვა ავიაქიმის ავიასკოლაში გამაგზავნეს. აქ შევხვდი მოსკოველ ქართველ კომკავშირელ გოგონას, ულამაზეს გალინა ტურაბელიძეს. ამხანაგები გალინას სილამაზით, ჰუმანიურობით, კეთილშობილებით და ამხანაგებისადმი უსაზღვრო სიყვარულით მოხიბლულები ვიყავით. ორივემ წარჩინებით დავამთავრეთ სასწავლებელი. მე ქ. სიმფერეპოლის აეროკლუბში დამნიშნეს ინსტრუქტორად, გალინა კი მოსკოვის ცენტრალურ აეროკლუბში. ბედმა გალინასთან კვლავ 1942 წელს შემახვედრა. ჩვენ ერთ პოლკში ვიბრძოდით.

ომმა ირინას სიმფერეპოლში მოუსწრო. მან ფრონტზე გაგზავნა მოითხოვა, მაგრამ უარი უთხრეს. ეს უარი ასე დაასაბუთეს: ახლა ინსტრუქტორთა კადრები „ოქროს ფონდია“, თქვენ ფრონტისათვის კადრები უნდა მოამზადოთ.

როდესაც მტერი სიმფერპოლის მოუახლოვდა, აეროკლუბი ევაკუირებულ იქნა ღრმა ზურგში. ირინა სტალინგრადის გავლით, 1942 წლის 1 მაისს საბჭოთა კავშირის გმირ მარინა რასკოვასთან გააგზავნეს. ასე მოხვდა იგი 587-ე ბომბდამშენ ავიაპოლკის პირველ ესკადრილიაში.

ერთხელ, აფრენის დროს ირინას თავის ქალა დაუზიანდა და ტვინის შერყევა მიიღო. ერთი თვის მკურნალობის შემდეგ ის საავადმყოფოდან გამოიპარა და თავის ნაწილში დაბრუნდა.

მოუსვენარ ქალიშვილს საექიმო კომისიამ ნება დართო მხოლოდ ნელმავალ „უ-2“-ზე ეფრინა.

ირინამ გვერდი აუარა საექიმო კომისიის გადაწყვეტილებას, სწრაფად აითვისა რთული საფრონტო ბომბდამშენის „პეტლიაკოვის“-ს მართვის ტექნიკა და, ყოველგვარი წვრთნის გარეშე, საბრძოლო დავალების შესასრულებლად გაფრინდა. ავიაციის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევა იყო წვრთნის გარეშე ბრძოლაში ჩაბმა.

მორიგი საბრძოლო დავალების შესრულების დროს ირინა მტრის „მესერშმიტებს“ შეხვდა. მისი თვითმფრინავის კუდში ორი „მესერშმიტი“ მოექცა და ბენზინის ბაკი დაუცხრილეს. თვითმფრინავი ცეცხლის ალში გაეხვია. ირინა ხელში დაიჭრა, ნამსხვრევებით დაუზიანდა სახე, ტანსაცმელს ცეცხლი მოედო, მაგრამ თვითმფინავის მართვას მაინც განაგრძობდა. კაბინაში ბოლი დადგა. ირინამ გასცა განკარგულება, რომ ეკიპაჟს დაეტოვებინა ხომალდი, თვითონ კი ბოლოს გადმოხტა პარაშუტით. ახლა საჰაერო მეკობრეებმა ცეცხლი პარაშუტისტებისაკენ მიმართეს, მაგრამ გოგონები მშვიდობიანად დაეშვნენ მიწაზე და ისინი ჰოსპიტალში გაგზავნეს. განკურნების შემდეგ ირინა კვლავ ფრონტზეა და ასრულებს სხვადასხვა საბრძოლო დავალებებს.

გვარდიის უფროსი ლეიტენანტი ირინა ოსაძე გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში მამაცობისა და თავდადებისათვის დაჯილდოვებულია წითელი დროშის, წითელი ვარსკვლავის, სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენებითა და მედლებით.

დემობილიზაციის შემდეგ ირინა მუშაობდა სამოქალაქო-საჰაერო ფლოტის სტალინაბადის, თბილისის, სოხუმის აეროპორტებში. მშვიდობიანი ცხოვრების პერიოდში მუშაობის დროს იგი დააჯილდოვეს „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მიენიჭა „მფრინავი მილიონერის“ საპატიო წოდება.

ამჟამად ირინა მუშაობს სოხუმის აეროპორტში.

587-ე პოლკში იბრძოდა პირველი ქართველი შტურმანი ქალი გალინა ტურაბელიძე. მან მოსკოვში დაამთავრა საშუალო სკოლა, ცენტრალური აეროკლუბი და კომკავშირის საგზურით გაიგზავნა ხერსონის თავდაცვა ავიაქიმის ავიასკოლაში საშტურმანო განყოფილებაზე სასწავლებლად. შემდეგ მუშაობდა მოსკოვის ცენტრალურ აეროკლუბში. გალინა გულმოდგინედ ამზადებდა ავიატორთა კადრებს. როცა ომი დაიწყო, მოხალისედ წავიდა მოქმედ არმიაში. იგი საბჭოთა კავშირის გმირ მ. რასკოვას განკარგულებაში გაგზავნეს. მფრინავთა შერჩევა ქალთა პოლკებისათვის უაღრესად მკაცრ პირობებში ჩატარდა.

მოხალისე გოგონების უმრავლესობას, ასევე გალინასაც, დიდი სურვილი ჰქონდათ მოხვედრილიყვნენ გამანადგურებელ პოლკში. გალინას მ. რასკოვამ ურჩია, ეფრინა შტურმანად და უთხრა:

— თქვენ, გალინა, უნდა სრულყოთ თქვენი, როგორც შტურმანის, ოსტატობა და ამავე დროს დაგვეხმაროთ შტურმანთა კადრების მომზადებაში.

ასე ჩაირიცხა გალინა შტურმანად 587-ე მოპიკირე ბომბდამშენ პოლკში, რომელსაც მეთაურობდა მაიორი მ. რასკოვა. მომზადდა შტურმანებისა და მფირნავი ქალების ოცი ეკიპაჟი, ხოლო ტექნიკური შემადგენლობა და მსროლელი ბორტრადისტები ვაჟებისაგან ჩამოყალიბდა.

1943 წლის 4 იანვარს დაიღუპა მ. რასკოვა თავისი ეკიპაჟით.

1943 წელს გალინას პოლკი იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიაში და შედიოდა მამაცი მფრინავის, უფროს ლეიტენანტ ე. ტიმოფეევას ესკადრილიაში, მალე პოლკის მეთაურად დაინიშნა მაიორი ვალენტინ მარკოვი.

1943 წ. ივნისში ესკადრილიამ დავალება მიიღო დაებომბა მტრის ჯარის დაჯგუფება. ცხრა მანქანისაგან შემდგარი ესკადრილია ისე გაფრინდა, რომ თანმხლები გამანადგურებლები არ ხლებიათ.

„მიზანთან ახლოს, — წერია ამ პოლკის სამახსოვრო ალბომში,—„პეტლიაკოვის“ ჯგუფს შეუტია მოწინააღმდეგის რვა „მესერშმიტმა“. მტრის საზენიტო არტილერიისა და გამანადგურებელი თვითმფრინავების ცეცხლი თავს დაატყდა ესკადრილიას. მაგრამ მეთაური არ დაიბნა: შეამცირა სიჩქარე, ბრძანა შემჭიდროებულიყვნენ და ორგანიზებულად დაეშინათ ცეცხლი მოწინააღმდეგისათვის. ესკადრილიის მეთაურის მოხერხებულობის, მფრინავთა თავდადებულობისა და მაღალი დისციპლინის შედეგად, რომლებიც ზუსტად ასრულებენ მეწინავის მითითებებს, ბომბდამშენებმა მოწინააღმდეგის ოთხი თვითმფრინავი ჩამოაგდეს ისე, რომ თვითონ ზარალი არ მოსვლიათ.

ეს საჰაერო ბრძოლა სამხედრო-საჰაერო ძალების ისტორიაში შევიდა როგორც მფრინავი ქალების დისციპლინიანობის, კოლექტიურობის, მამაცობისა და გმირობის ნიმუში. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინა თავი გალინა ტურაბელიძემ“.

სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, 587-ე პოლკს მიენიჭა გვარდიელის სახელწოდება და გადაკეთდა 125-ე გვარდიულ ავიაპოლკად. გვარდიელის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით, 1943 წლის ოქტომბერში აეროდრომზე გაიმართა ზეიმი, სადაც გალინა პოლკის მედროშე იყო.

სმოლენსკთან ბრძოლების დროს გალინა მძიმედ დაიჭრა. მკურნალობის შემდეგ გალინა საექიმო კომისიამ II ჯგუფის ინვალიდად სცნო და გაანთავისუფლა სამხედრო-საჰაერო ძალების რიგებიდან. გვარდიის უფროსი ლეიტენანტი გალინა ტურაბელიძე დაჯილდოვებულია ორდენებითა და მედლებით .

1943 წლის 4მაისს 587-ე ავიაპოლკს საბჭოთა კავშირის გმირის მ. რასკოვას სახელი მიანიჭეს. ამ ბომბდამშენნი პოლკის ორასკაციანმა კოლონამ გაიარა სახელოვანი საბრძოლო გზა ვოლგიდან ბალტიის ზღვის ნაპირებამდე. მფრინავი ქალები ანადგურებდნენ მტრის თავდაცვით ნაგებობებს, ცოცხალ ძალას და ტექნიკას, ხელს უწყობდნენ სახმელეთო ჯარებს მტრის თავდაცვის გარღვევაში ჩრდილოეთ კავკასიაში; სხვა საავიაციო შენაერთებთან ერთად, მათ თავიანთი წვლილი შეიტანეს თავდაცვითი ზოლის გარღვევაში და ხელი შეუწყვეს სატანკო ჯგუფების შეყვანას ორიოლკურსკის მიმართულებით., მფრინავი ქალები ასრულებდნენ სარდლობის დავალებას პოგუშევსკ-ორშის უბანზე; მონაწილეობდნენ ელნიას, ბორისოვის, სმოლენსკის ბრძოლებში; შემდეგ მტერს ანადგურებდნენ ბალტიისპირეთში და აღმოსავლეთ პრუსიაში. ავიაპოლკმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქ. ბორისოვის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, რისთვისაც პოლკი დაჯილდოვდა კუტუზოვისა და სუვოროვის III ხარისხის ორდენებით. 125-ე პოლკმა მრავალი სახელოვანი ფურცელი ჩაწერა საბჭოთა არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების ისტორიაში.

ირინამ და გალინამ 1945 წელს მონაწილეობა მიიღეს გამარჯვების პარადში საუკეთესო ეკიპაჟებს შორის.

1974 წელს გალინა ტურაბელიძე მოულოდნელად გარდაიცვალა. იგი დასაფლავებულია ქ. მოსკოვში.

მერი როდე-ჩიჯავაძე.



# შოთა ნიშნიანიძე

# 50

ჩვენს შესანიშნავ პოეტს შოთა ნიშნიანიძეს თურმე ორმოცდაათი წელი შესრულებია. იმ კაცისათვის, რომელსაც კარგად ახსოვს მისი პოეტად დაბადება, სრულიად მოულოდნელი იყო ეს ამბავი. დიახ მოულოდნელი, რადგან მე შოთა სულ ახალგაზრდა მეგონა. ამაში შესაძლოა მის პოეზიასაც მიუძღვის ბრალი. რა სწრაფად გარბის დრო. რა დიდი ხანი გასულა მას შემდეგ, ჩვენ, მაშინ უკვე მოწიფული პოეტები, სიამოვნებით ვადევნებდით თვალს შოთა ნიშნიანიძის პირველ სტრიქონებს. დღეის დღესავით მახსოვს მისი ფეხაურეველი პირველი ნაბიჯები, დინჯი და აუჩქარებელი.

სრულიად ახალგაზრდამ მიიპყრო პოეზიის მოყვარულთა ყურადღება. სრულიად ახალგაზრდამ, ვამბობ იმიტომ, რომ შოთა მაშინ თვრამეტ ცხრამეტიოდე წლის ჭაბუკი თუ იქნებოდა.

ერთხელ შოთა ნიშნიანიძის დიდმა პატივისმცემელმა შალვა დემეტრაძემ ტიციან ტაბიძის ნათქვამი გაიხსენა: — თუ გინდა გაიგო ლექსის სიავკარგე, როგორც ჭკვიანმა დედაკაცებმა იციან, კვერცხივით მზის შუქზე უნდა გალანდო, მაშინ გაიგებ, ლექსი ჯანსაღი არის თუ არაო. ბევრჯერ გაგვილანდავს შოთა ნიშნიანიძის ლექსები, დავმუხტულვართ მისი პოეზიის მადლით, სიამოვნებაც ბევრჯერ მოგვგვრია, და რაც მთავარია, ყველა მათგანი ჯანსაღი აღმოჩენილა.

ნიადაგი, რომელშიც ღრმად და ძლიერად აქვს გადგმული ფესვი შოთა ნიშნიანიძის პოეზიას, მსუყე გამოდგა. ეს ნიადაგი ასაზრდოებდა ყოველთვის ნამდვილ ეროვნულ პოეზიას, ჰკვებავდა, ზრდიდა, ავაუკაცებდა... ამ ნიადაგზე აღმოცენდა მრავალი საუკეთესო ქმნილება. ასეა დასაბამიდან და ასე გრძელდება დღესაც.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიის უპირველესი თვისება გახლავთ სინათლე და გამჭვირვალობა, რაც მას დიდი წინაპრებისაგან აქვს ნასწავლი და შეთვისებული, ოღონდ საკუთარ ქურაში გამომწვარი, მისეული ჩუქურთმებით დამშვენებული და გასულიერებული. სიტყვა პოეტისა ღონიერია და ჯანმრთელი, დღევანდელობით ნაკარნახევი და მიმზიდველი.

შოთა ნიშნიანიძემ, მაშინ სრულიად ახალგაზრდამ, პირველი წიგნის რედაქტორობა მე მომანდო. შესაძლებელია ეს პოეტური ნათესაობითაც იყო გამოწვეული. არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში დიდად ნასიამოვნები დავრჩი; ეს წიგნი გახლდათ „მე და შენ“. ამ პატარა კრებულში თვალნათლივ ჩანდა ახალგაზრდა პოეტის მრწამსი, საკმაო გაბედულობა, მეტაფორათა სიახლე. ლაღად სუნთქავდა მის მიერ დამორჩილებული სიტყვა ფრთიან სტრიქონებში. ძლიერი იყო ემოციის ნაკადი, ურომლისოდაც ჭეშმარიტი პოეზია არ არსებობს.

მე არ ვიცი, რა შეხედულებისაა დღეს ამ პირველ წიგნზე, საკუთარი პოეზიის სათავეზე თვით ავტორი. ეს კია, პირველი განაცხადი, პირველი საჭაშნიკო წიგნი პოეტის უდავო მომავალზე მეტყველებდა.

ვიმეორებ, მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. პოეტი თანდათანობით ძალას იკრეფდა, ყოველდღიურად, ყოველ თვესა და წელიწადს იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა. წიგნიდან წიგნში ვლინდებოდა პოეტის ახალი შესაძლებლობანი, თანდათანობით ფართოვდებოდა მისი პოეტური ჰორიზონტი, ვერსიფიკაციულ სიახლისათვისაც იბრძოდა ისე, როგორც სჩვევიათ ჭეშმარიტი პოეზიის მსახურთ.

ამ ზრდა-განვითარებამ შოთა ნიშნიანიძე ქართული პოეზიის მოწინავეთა რიგებში ჩააყენა. მრავალი მისი ქმნილება ხალხმა აიტაცა და შეიყვარა. ჩვენი ეროვნული ჯილდოს — რუსთაველის პრემიის ლაურეატი გახადა. ხალხის სიყვარული კი პოეტისათვის ბევრ რამეს ნიშნავს!

დიდი ხანია ჩემს უმცროს კოლეგასთან ვმეგობრობ. ეს მეგობრობა თითქმის სამ ათეულ წელიწადს ითვლის, ურთიერთ პატივისცემასა და პოეზიის სიყვარულზე დაფუძნებული, მყარად და გაუტეხელად. მან კარგად იცის მეგობრობის ფასი. დინჯი და აუჩქარებელი, ხშირად მრავალი კეთილი და საშვილიშვილო საქმეთა წამომწყებადაც გვევლინება.

ამ გაზაფხულზე ჩვენს შოთა ნიშნიანიძეს ცხოვრების შუადღე დაადგა თავზე. იგი აღმავლობის გზაზე დგას და დაე, დიდხანს, ძალიან დიდხანს მუხლჩაუხრელად ევლოს პოეზიის დიდ შარაზე ქართული სიტყვის შესანიშნავ ოსტატს, ჩვენს ძმასა და მეგობარს.

რევაზ მარგიანი

## ძახილი

I

რა გალეულს და ფერწასულს გხედავ,
ჩემო პაწია, ცოდვილო დედა,
ვაიმე, როცა საშოში მჭრიდნენ,
რაიმე ხომ არ გატკინე ნეტავ.

არ შეგეშინდეს, შვილი ვარ შენი,
შენი ტანჯული სისხლი და ხორცი,
ნიავი ვარ და მგონია გშველი, —
სიცხიანს, მწუხარს კუბოზე გკოცნი.

მაგ ბავშვურ შუბლსაც გიკოცნი მორცხვად,
გაბუსხულ ტუჩსაც, ბავშვურად ლამაზს...
ახლა სული ვარ და უფალს ვლოცავ —
შენს გადარჩენას ვულოცავ მამას.

მადლობა უფალს, რომ არ დაგვღუპა,
არ დამიობლა ძმები და დები.
მე კი, ბარტყივით ტანშეუბუმბლავს,
ცად ანგელოზმა მაჩუქა ფრთები.

როგორ მინდოდა მეც მოგსწრებოდი,
მეც გამეხარა ამ სამზეოთი,
მეც დამეძახა შენთვის „დედიკო“
და მამას ყელზე შემოვხვეოდი.

ჩაწნული ვიყავ მომავლის ფიქრთან,
როგორც პეპელა ყვავილში რგული,
დაბადებამდე რამდენი მიკლდა,
ითვლიდა ჩემი პაწია გული.

ალბათ გგონივარ დაღლილი სხივი,
ალბათ გგონივარ სუნთქვა სიოთა,
შენ ხომ უძლებდი საკუთარ ტკივილს
მე კი, ძვირფასო, შენიც მტკიოდა.

თურმე ტყუილად მომიხაროდა,
შეხვედრა შენთან, ძმებთან და დებთან...
ახლა მოგტირით სხვა სამყაროდან
არარაობის ჩრდილი და სევდა.

რად გააწბილე ღვთის იმედები,
რატომ შეშალე და გაამრუდე
ანგელოზების და პლანეტების
კეთილი გათვლა და ვარაუდი?

II

ჰოი, დედებო, რა პასუხს აძლევთ,
რას ეუბნებით წარსულს და ხვალეს,
ვინ მოუაროს ვაზივით გამძლე
დიდების მსურველ პატარა მხარეს!

ვინ მოუაროს შენს ზვრებს და ანბანს,
შენს ხმებს, ჩუქურთმებს, იმედებს, სიზმრებს.
მაგ ცოდვას რაღა მირონი გაბანს
და მაინც გამშრალ ტუჩებზე ვიმცვრევ!

მირონო, ჩემი მიწის მირონო,
იმედო, რწმენავ — სულ შემენახე,
სულ იარაგვე, სულ ირიონე,
სულ იჯეჯილე, სულ ივენახე.

—კიდევ სად არის სხვა საქართველო?
ჰყივის ლექსი და ციხის ქონგური.
— მიწაში, დედავ...
და ვინ დათვალოს
შვილი და ძირი, ჩემებრ მოკლული.

თუ სვეტიცხოველს ვერ ავაგებდით,
„ვეფხისტყაოსანს“ თუ ვერ დავწერდით,
მაინც ზედმეტი და მოსაკვეთი
არ ვიქნებოდით შენთვის არც ერთი...

შვილთა სიმრავლე დაგბედებოდეს,
მტრედის გრუტუნი და მუხის ჩერო,
ჩხებით, აკვნებით და ბუდეებით
ამაღლდი, ჩვენო ფუძევ და ჭერო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 36 წლის შემდეგ

გიორგი შათირიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილოეთ კავკასიაში, ქალაქ ორჯონიკიძის მისადგომებთან გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა.

ფრონტის ხაზი თანდათან მოიწევდა სამხრეთისკენ.

ალაგირის რაიონის სოფელ ფიაგდონში ჩვენი არმიის ნაწილები გამაგრებულიყვნენ, იქვე, რაღაც ოთხასიოდე მეტრის დაშორებით, პატარა მდინარის გაღმა, გერმანელთა დაჯგუფებებს მოეყარათ თავი და გადამწყვეტი იერიშისათვის ემზადებოდნენ.

ნოემბრის სუსხიანი დილა იდგა. ჯერ ქარმა წამოუბერა, მერე მოქუფრული ციდან თოვლის ფანტელებმა დაიწყეს ცვენა და თეთრად გადაპენტეს გარემო.

გულისგამაწვრილებელი დუმილი ქვემეხების გრიალმა დაარღვია.

მერე ერთმანეთში აირია ავტომატებისა და დაზგის ტყვიამფრქვევების კაკანი, ნაღმსატყორცნების შხუილი, ტანკების გრუხუნი, თვითმფრინავების ზუზუნი, ყუმბარების აფეთქების გამაყრუებელი გრგვინვა.

ოცეული, რომელსაც ლეიტენანტი გიორგი აბზიანიძე მეთაურობდა, გააფთრებული იცავდა სოფელ ფიაგდონის თითოეულ მტკაველს, თითოეულ გოჯს.

ბიჭები თავგანწირვით იბრძოდნენ. შეტევაზე გადმოსულ გერმანელებს ხელყუმბარებით, ავტომატების გრძელი ჯერებით, ხელჩართული კონტრშეტევებით უღობავდნენ გზას.

ირგვლივ ყველაფერი ცეცხლის ალში იყო გახვეული, როცა ნაღმმტყორცნელმა რიგითმა მებრძოლმა ნიაზ კალანდაძემ მოულოდნელად მძიმედ დაჭრილ ოცეულის მეთაურს გიორგი აბზიანიძეს შეასწრო თვალი.

მეთაურს შუბლზე თქრიალით ჩამოსდიოდა სისხლი, ცალი თვალი ფოსოდან ამოვარდნოდა, ფეხში მძიმედ დაჭრილი ერთ ადგილზე ბარბაცებდა, მერე კი მოცელილივით დაენარცხა მიწაზე.

ნიაზი სწრაფად ამოხტა სანგრიდან. ტყვიების წვიმაში ხოხვით მიუახლოვდა მეთაურს, მძიმედ დაჭრილი გიორგი აბზიანიძე ბეჭებზე წამოიკიდა და ახლა ზურგისკენ წამოვიდა ხოხვით.

ეტყობა შენიშნეს. გერმანელმა ფაშისტებმა სეტყვასავით დააყარეს ტყვიები.

გახვითქული, ძალაგამოლეული მებრძოლი ხევ-ხევ მიათრევდა სანახევროდ გონებადაკარგულ მეთაურს და თან შეძახილებით ამხნევებდა.

გარშემო ისევ ზუზუნებდნენ ტყვიები, ზედიზედ სკდებოდნენ ჭურვები.

როგორც იქნა გადასერეს ხევი, ხეებს მიეფარნენ. ნიაზმა პერანგი შემოიხია, სწრაფად შეუხვია დასისხლიანებული თავი მეთაურს, ისევ ზურგზე წამოიკიდა, შემოგებებულ მედდას ჩააბარა და ბრძოლის მოწინავე ხაზისკენ დაბრუნდა.

ფრონტზე მოხალისედ წასული თელავის მკვიდრი ნიაზ კალანდაძე, რომელმაც დიდი სამამულო ომის დაწყების წინ დაამთავრა საშუალო სკოლა, ჩრდილოეთ კავკასიასთან გმიული ბრძოლების შემდეგ ლეგენდარულ მე-18 არმიაში იბრძოდა.

სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ვაჟკაცი აქტიურ მონაწილეობას იღებდა „მცირე მიწის" სადესანტო ოპერაციაში, ჩვეული შემართებითა და გაუტეხელობით იბრძოდა ნოვოროსიისკის გასანთავისუფლებლად.

საბჭოთა არმია მტერს უკვე თავისი ბუნაგისკენ ერეკებოდა, როცა ნიაზ კალანდაძე 1944 წლის ბოლოს ერთ-ერთ გააფთრებულ ბრძოლაში მძიმედ დაიჭრა და მშობლიურ თელავს დაუბრუნდა.

●

მინელდა ომის ხანძარი.

მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა.

თანდათან მოიშუშა ჭრილობა ჩვენმა სამშობლომ. საბჭოთა ადამიანების გმირულმა შრომამ ფენიქსივით აღადგინა ნანგრევებად ქცეული სოფლები და ქალაქები.

აღადგინა რას გვიქვია, აღამაღლა, განამტკიცა, განავრცო და აალზევა ჩვენი სოციალისტური ქვეყნის ძლიერება.

ექო, დიდი სამამულო ომის ექო, წარუშლელ მოგონებად შემორჩა საბჭოთა ადამიანების სულს.

აი, ამიტომაც იყო, როცა დრო და მოცალეობა მიეცემოდა. ყოველთვის გარდასულ დღეთა მოგონებებში რომ იძირებოდა ომგადახდილი ნიაზ კალანდაძე.

იძირებოდა და კინოკადრებივით გაცოცხლებულ ომის ეპიზოდებს შორის ყოველთვის ამოტივტივდებოდა ხოლმე მძიმედ დაჭრილი ოცეულის მეთაურის გიორგი აბზიანიძის დასისხლიანებული სახე.

გადარჩა თუ დაიღუპა გიორგი აბზიანიძე? ეს ფიქრი ყოველთვის აწვალებდა და აწუხებდა ნიაზს.

ხალხს უთქვამს: ზოგჯერ მთა მთასაც შეხვდებაო.

სწორედ ასე იყო.

ერთ მშვენიერ დღეს თელავში ნიაზ კალანდაძესთან სამსახურებრივი დავალებით ჩავიდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მუშაკი ზელიმხან შალვაძე.

სიტყვა ფრთიანია. ისაუბრეს, საქმესაც შეეხნენ, აქეთურსაც, იქითურსაც, ბოლოს ომის ცეცხლოვანი დღეები გაიხსენეს.

თბილისიდან ჩამოსულ სტუმართან გულითადმა საუბარმა ნიაზ კალანდაძე ბოლოს თავისი ფრონტული მეთაურის გიორგი აბზიანიძის კვალამდე მიიყვანა.

გაჰყვა და გაჰყვა ამ კვალს. ასეა, წვერი თუ იპოვე, თუ ბოლომდე მიჰყვები, დაბლანდული ძაფის გორგალიც კი შეიძლება ამოხსნა ბოლომდე.

ომის ქარცეცხლში დაბლანდული ძაფის გორგალი საბოლოოდ თბილისში ამოიხსნა.

ბინდდებოდა, როცა დედაქალაქის ერთ-ერთ ბინაში ტელეფონის ზარი აწკრიალდა.

— გისმენთ, — გაისმა საამო ბარიტონი, — დიახ, აბზიანიძის ბინა გახლავთ, გიორგი ვარ.

— მე... მე... — მოპასუხეს ეტყობოდა ყელში რაღაც აწვებოდა, ეტყობოდა ძლივსღა იკავებდა ცრემლებს, — მე ნიაზი ვარ... თქვენი ფრონტელი თანამებრძოლი, ნიაზ კალანდაძე...

ახლა პირიქით მოხდა ყველაფერი.

ყურმილი სდუმდა. ბოლოს ეტყობა ძალა მოიკრიფა, აბლანდული ფიქრების დაზუსტება გადაწყვიტა და ჩურჩულით ძლივს ამოღერღა გიორგი აბზიანიძემ:

— რომელი ნიაზი?... მე რომ სიცოცხლე შემინარჩუნა, ის ნიაზ კალანდაძე?

— დიახ!

●

გვიანობამდე შეყვნენ საუბარს.

რათ უნდა დაწერა? ისედაც გასაგებია, რაზე და რას ისაუბრებდნენ 36 წლის შემდეგ შეხვედრილი ფრონტელი თანამებრძოლები.

ეს კია, მათი გულითადი საუბარი მალ-მალე წყდებოდა და აცრემლებული ვაჟკაცები ღვიძლი ძმებივით ეხვეოდნენ ერთმანეთს.

ფრონტის მოწინავე ხაზიდან გაყვანილი მძიმედ დაჭრილი გიორგი აბზიანიძე თურმე ერევნის ერთ ჰოსპიტალში ოთხი თვის მანძილზე იშუშებდა იარებს.

შინ დაბრუნებულმა ნაომარმა ვაჟკაცმა ჯერ მშობლიური წულუკიძის რაიონის სამხედრო კომისარიატში დაიწყო მუშაობა, შემდეგ კი პარტიის რაიონულ კომიტეტში გადაიყვანეს. წლების მანძილზე გიორგი აბზიანიძე გოჩა ჯიხაიშის კოლმეურნეობას ხელმძღვანელობდა, მერე კი თურმე თბილისში გადმოვიდა საცხოვრებლად და ახლა ნორიოს საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობს.

— შენ?

— მე ჯერ თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღეობა-მევენახეობის ფაკულტეტი დავამთავრე, — დინჯად ყვებოდა ნიაზი, — მერე საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის ტექნოლოგიური ფაკულტეტი... ახლა კი იყალთოში ვმუშაობ...

გიორგიმ ჭიქა მიაწოდა ფრონტელ მეგობარს.

უთქმელად წამოდგნენ. ჭიქა-ჭიქას მიუჯახუნეს. მასპინძელმა დაასწრო და ფიქრიანად წარმოთქვა:

— დიდება გმირებს, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლაში დაეცნენ!

●

სამნი ვართ: გიორგი აბზიანიძე, ნიაზ კალანდაძე და ამ სტრიქონების ავტორი.

ჩვენი მანქანა ორჯონიკიძისკენ მიმავალ გზაზე მისრიალებს.

დიახ, სწორედ იმ საბრძოლო ადგილების დასათვალიერებლად მივეშურებით, სადაც 36 წლის წინათ ომობდნენ ნიაზი და გიორგი.

გზადაგზა, როცა ჩვენი მარშრუტის მიზანს შეიტყობენ, მოკეთე ახლობლებივით გვეგებება ყველა.

სოფელ ფიაგდონში და რასვეტში ნამდვილი ზეიმი მოგვიწყეს ოსმა მეგობრებმა. ისინი ყვავილებითა და ტაშის გრიალით შეეგებნენ დიდი სამამულო ომის ორ ქართველ ვეტერანს...

ფიაგდონში ორი ობელისკი აღუმართავთ: ერთი ამ სოფლის შინ მოუსვლელებს ეძღვნებათ, მეორე ობელისკზე კი მათი გვარებია ამოტვიფრული, რომლებმაც თავი შესწირეს ამ სოფლისთვის ბრძოლას.

ბ. შ. მირელაშვილი, ი. ა. კერესელიძე, ბ. ლ. ბერიძე, დ. დ. კვარაცხელია, ზ. ე. ბაღაშვილი, მ. ხ. აფციაური... ვკითხულობთ ობელისკზე და საქართველოდან წაღებულ მიწას ვაყრით ქართველ გმირთა საფლავებს.



„კიდევაც დაიზრდებიან“

საქ. სსრ სახალხო მხატვარი, მოქანდაკე მ ე რ ა ბ ბ ე რ ძ ე-ნ ი შ ვ ი ლ ი.

ეროვნული ბიბლიოთეკა









# CUBA XX

## დინარა ნოდია

გთავაზობთ საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის დინარა ნოდიას ჩანახატებს მხატვარი შემოქმედებით მივლინებაში იმყოფებოდა კუბაში, სადაც მიწვეული იყო კუბის მხატვართა კავშირის მიერ



- ლერწამის ალება.
- დედები
- ბარი „პოლინეზიო“.
- ეზო ჰავანაში
- დილა
- მეთევზეები
- ხე გოლიათი
- პლიაჟი — „ვარადერო“











ეროვნული ბიბლიოთეკა



ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხანაში

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში

კასპის ცემენტის ქარხნის მბრუნავი ღუმელები.

თარხან არჩვაძის ფოტო.

# სინანული

მოთხრობა

ჯემალ მეხრიშვილი



თვრამეტდღიანი ტურისტული საგზურით ლევანი ეგვიპტეში იყო. თბილისში რომ დაბრუნდა, გადაწყვიტა: — შვებულების დარჩენილ დღეებს მშობლებთან გავატარებ, რამეში წავეხმარებიო — და სოფელში გაემგზავრა. რთველი ორი კვირის მოთავებული დაუხვდა, ქვევრები — დარეცხილი, შეშა-ფიჩხი მომარაგებული, კაკალი — დაბერტყილი. ერთადერთი ჭაჭალა იყო გამოსაქაჯი და იმასაც ახლოს არ გააკარა ბერიკაცმა: ხელები დაგიშავდება, ამას მეც მოვერევი, შენ დაისვენეო.

სოფლის ბირჟაზე გასვლა ჭირივით სძაგდა და მთელი დღე შინ უქმად იჯდა. ან ხილსა და მაჭარს შეექცეოდა ან კაკლისქვეშ გაშლილ ფარდაგზე წამოწოლილი ეგვიპტურ დღეებს იგონებდა.

თანაკლასელებს გაეგოთ ლევანის ჩამოსვლა და ერთ საღამო ხანს მანქანით ამოუარა ავთომ და ფირუზამ: მათ ძმაკაცს ყურძნის სარეკორდო მოსავლისათვის მთავრობისგან „ჟიგული" მიეღო საჩუქრად. ახლა „მაღარიჩს" იხდიდა და ლევანსაც ეპატიჟებოდნენ.

ლევანს არ უნდოდა ძველი, ღელვისაღმძვრელი ამბების გახსენება, ისიც იცოდა, ტოლები გუნებას მოუწამლავდნენ: რატომ ცოლს არ ირთავო და წასვლაზე ცივი უარი განაცხადა.

— არა, არა, რასა ჭქვია?! — ხმას აუწია გაკვირვებულმა ფირუზამ, — შარშანწინ სკოლის დამთავრების ათი წლისთავზეც არ ჩამოხვედი, ეხლაა და.. აღარა გვკადრულობ? გადააგდე ე წიგნი და ადე, ჩაიცვი!

— დილაზე მივდივარ, ბიჭებო, გამზადება მინდა!

— გამზადება რა!..— სიტყვა წაართვა ავთომ, — მიხა ძია დოქს აგივსებს, დედაშენი ჩემოდანს ჩაგილაგებს და მორჩა!

ხმაურზე ლევანის მოხუცი დედა გამოვიდა მარნიდან და ბიჭებს ჭაჭიანი ხელების წმენდით მიესალმა.

— უთხარი რამე, მარუსა ძალო, — შეევედრა ავთო და წვრილად უამბო ყველაფერი, — ჰოდა, აბა სირცხვილი არ იქნება ჩვენ ჰარი-ჰარალო ვიძახოთ, ეს კიდევ შინ იჯდეს?!. ჰამლეტა რას იფიქრებს?

— არა, არა, არა რა! — ჯიუტობდა ლევანი.

— რას ეხვეწები! — გაგულისდა ფირუზა და აივანზე თამამად აბაკუნა. ეზოში ჯერ მაღალქუსლა ძვირფასი ფეხსაცმელები გადმოყარა, მერე კი იდლიაში ამოჩრილი შარვალ-კოსტუმი, ჟილეტი, პერანგი და ჰალსტუხი ჩამოიტანა. ტანსაცმელი გაშლილ ფარდაგზე დაუყარა ლევანს და უბრძანა:

— ჩაიცვი!

ლევანი მიხვდა, მეტი ჩარა აღარ იყო და უნიათოდ გაიღიმა. ყველაფერი წამოკრიფა, მაღლა ოთახში შეიკეტა და ხუთიოდე წუთის შემდეგ მორთულ-მოკაზმული, ახალი ფეხსაცმელების ჭრაჭუნით კიბეზე დაეშვა.

— ემაგრე, შე კაი კაცო!

ერთად შეყრილი ძველი მეგობრების ცქერისაგან დედას თვალები აუცრემლიანდა.

— აბა, შვილო, ტოლები ხართ... ეგენი ცოლშვილით აივსნენ... შენ კი... შენ როდისღა...

— ნუ გეშინია, — გაამხნევა ავთომ, — მა ეგრე ხო არ დაბერდება, ესეც დაინიშნება!

ლევანმა დედას დაუბარა: დოქისა და ჩემოდნის მეტი არაფერი გაამზადო, მაინც არ წავიღებო და სამივენი ჭიშკრისაკენ გაემართნენ.

საჭეს ფირუზა მიუჯდა. ავთო და ლევანი უკან მოკალათდნენ.

— რა უხერხულია, — ჩაილაპარაკა ლევანმა.

— ეს სულ გადაჯიშებულა! — შესძახა ფირუზამ და მანქანა თავქვე მიუშვა, — თანაკლასელები რო შევქუჩდეთ და თითო ჭიქა ღვინო დავლიოთ, ესაა უხერხული?! რამდენი ჩვენი ბიჭია, იმის ცოლს არ იცნობ, სადმე რო შეგხვდნენ, არშიყობა ხო არ უნდა დაუწყო, როგორც ბიბლიბოაანთ ვალერას მოუვიდა... თანაკლასელების ნახვა მაინც არ გინდა — სუყველანი იქ იქნებიან!

— ნათელაც? — თრთოლვით წამოსცდა ლევანს.

ბიჭებმა გადაიხარხარეს.

— არა, გული ნუ გისკდება! — გაამხნევა ფირუზამ, — ქმარი აღარ უშვებს რუსთავიდან.

— ისევ გიყვარს? — ავთომ მხარზე ხელი გადასდო და მოგონებებს მიეცა, — მე კიდე ნუშო არ მიყვარდა!.. მაგრამ იკნიკმა-თედომ კნუტი რო ჩამიშვა ყურებში, მე ვთქვი: თქვენი დედაც და თქვენი გოგოც-მეთქი! რა მწარე იყო!.. ნელა, ფირო, სად გეჩქარება... გახსოვს, ლევან, ყველიერში აიქ. ნაკალაურზე საქანელას რომ ჩამოვაბამდით ხოლმე. ეეჰ!..

ამასობაში ჰამლეტის ორსართულიან სახლს მიადგნენ.

ბრეზენტით მოჩარდახებულ აივანს დიდი ნათურები ანათებდა. სიცილ-ხარხარსა და საერთო ყაყანში ცხადად ისმოდა კამათლების ნერვების მომშლელი, მშრალი ჩხრიალ-ტკაცანი.

ლევანის გამოჩენამ ყველა გაამხიარულა. ეხვეოდნენ, კოცნიდნენ, სკოლისდროინდელ სანიშნო ამბებს აგონებდნენ, პირამიდებზე ეკითხებოდნენ და დაურიდებლად თათხავდნენ: მეორე ნახევარი რადა უყავი, როდემდე უნდა იარო კენტად, აი, ჩვენ რამხელა ბავშვები გვყავს, შენ როდისღა უნდა მოგესწრონ, პატარა ხო არა გგონია თავი — ოცდაათს შარშან გადავაბიჯეთო.

იერიშზე გადასულ თანაკლასელებს ლევანი პასუხობდა ნავარჯიშევი ღიმილით, მოკლედ, ხან იუმორით, ხან დაბნეულად, ზოგს კვერს უკრავდა, სხვას ბანზე უგდებდა სიტყვას, თან ცდილობდა, კარგად დაკვირვებოდა ახლად გაცნობილ პატარძლებს (რომლებიც ძალზე თამამად შესცქეროდნენ თვალებში) და დაემახსოვრებინა, რომელი ვისი ცოლი იყო.

მოკითხვა-გაცნობა რომ დაცხრა, ლევანი აივნის კუთხეში განცალკევდა, დაცვარული შუბლი შეიმშრალა და ახლად გაცნობილების შეფასებას შეუდგა.

სამი მათგანი ძალზე უშნო და შეუხედავი მოეჩვენა და გაუკვირდა ესენი რამ მოაყვანინათო. ორი ორსულად იყო და ისე დადიოდნენ, კაცს ეგონებოდა საცაა უკან გადაცვივდებიან და ზურგზე ტყაპას მოადენენო. „ამხელა მუცლებით აქ რამ წამოიყვანათ?" — გაკვირვება დაეუფლა ლევანს.

მან სახედალაქულ ფეხმძიმე რძლებს თვალი აარიდა და საერთო ზიმზიმსა და სიცილ-კისკისში, კამათლების ჩხრიალში, დომინოს ტყაპუნსა და თამბაქოს ზანტ ბოლში კიდევ ერთხელ მალულად გახედა თეკოს. შურმა და გაურკვევლობამ გულში ხანჯალივით უჩხვლიტა: ეს მზეთუნახავი თოქმაშოთას როგორ გამოჰყვაო. ამ მტანჯველ კითხვაზე დიდხანს იფიქრა, იფიქრა, მაგრამ ვერაფერი მოიფიქრა, დაღვრემილმა ხელახლა მოუკიდა სიგარეტს და უცოლო, გამოუცდელი კაცის მსგავსად ისიც იმ დასკვნამდე მივიდა: თხოვა-გათხოვება არავითარ კანონსა და სამართალს არ ემორჩილება — მას რაღაც უხილავი ჯადოქრობა განაგებსო.

ათ საათზე სუფრას მიუსხდნენ.

წარაფის ღვინომ თავისი გაიტანა: ყველას აუშალა სიმღერის, ცეკვის, ენაკვიმატობისა და თავის გამოჩენის სადერდელი.

ეს ციურა მოწაფეობისას ხომ იყო და იყო ენამოცვეთილი, ახლა უფრო უარესი გამხდარიყო და ისეთ რაღაცეებს იტყოდა ხოლმე, ხალხს სიცილით წყვეტდა. თავაზიანობისათვის ლევანიც იღიმებოდა, გუნებაში კი უკვირდა: ისეთს რას ამბობს, ასე რომ იფხრიწებიანო.

შუაღამისას თამადა ღობურ სადღეგრძელოებზე გადავიდა. ლევანის ჯერიც დადგა. იმდენი აქვს და ისეთი რამეები უსურვეს, სირცხვილისაგან ყურის ბიბილოები აეწვა. მაგრამ შეღვინიანებულმა ციურამ, რომელიც მის პირდაპირ იჯდა, ყველას გადააჭარბა. ჭიქა პირთამდე გაივსო და სისულელეების ნიაღვარი გადმოაფრქვია.

— აბა, იცოცხლე, ლეო, შე ძველო და მარად ახალო .. იშრომე — ნუ დაიღლები, იბრძოლე — ნუ დაიჭრები, ქალს ძალიან ნუ მიენდობი... დღეს თუ მუზეუმის უბრალო კაცი ხარ, ხვალ დირექტორა გამხდარიყავი, მემრე დოქტორი, და პროფესორ-აკადემიკოსობაც ზედ მიგეყოლებინოს... მალე დაწინაურებულიც გვენახე და ბიჭის მოწყობა რომ დამჭირდება, შენთან პროპუსკით შემოვსულიყავ... მაგრამ მთავარი მაინც ცოლ-შვილია — ოჯახი... ვიცით, რომ ბინიანსა და „ვოლგიანს" ეძებ... ოღონდ ძალიან ნუღა დააგვიანებ, თორემ ხო იცი: კაცი ორმოცს რომ გადასცილდება, მერე სხვისთვის მოჰყავს ცოლი... ასე დაგეცალოს მტერი! დამიხვდი!

ციურამ გამოცლილი ჭიქა მარცხენა ხელისგულზე დაიპირქვავა, მერე მარჯვენა უცნაურად და ანაზდეულად დაიკრა მარცხენა მაჯაზე და ეგრაზას ხელი რომ არ შეეშველებინა, რაკეტასავით გაფრენილი ჭიქა შუბლში მოხვდებოდა ლევანს.

მოწონებისა და აღტაცების სიცილ-ხარხარმა იფეთქა.

— ხომ გითხარ, დამიხვდი-მეთქი! — იჭაჭებოდა ციურა.

გვიან დაიშალნენ. ლევანს ფეხით ამოვლა ეწადა, მაგრამ ფირუზას მანქანაში შეხორხლიმა ქალებმა თავისი გაიტანეს: შევიწროვდნენ, ერთმანეთს მუხ-

ლებზე შეასხდნენ და ლევანი სახლამდე მიიყვანეს.

მანქანის ხმა რომ მიწყდა, მარტო დარჩენილმა ლევანმა თავისუფლად ამოისუნთქა. შთაბეჭდილებებით, ღვინით და მოგონებებით დამძიმებულმა საყელო გაიღეღა და რკინის ჭიშკარი შეაღო.

შუაღამე კარგა ხნის გადასული იქნებოდა. შაქზე აწეული მთვარე ოქროს ნახვრეტივით მოჩანდა მოლურჯო ცაზე. მყუდროებას ჭოტის კივილი არღვევდა. ოქტომბრის სიგრილეს ნამი გაეგდო და მატიტელიან ეზოში ისე ბრწყინავდა, თითქოს მუჭა-მუჭა მარგალიტები მოუფრქვევიათო. საიდანღაც ჭაჭისა და თონეში შესაწვავად ჩაკიდებული ღეღვის სუნი მოდიოდა.

ლევანი მსხალს მიეყრდნო და დაფიქრდა.

დერეფნიდან გამოჭრილი შუქი, რომელიც, ეტყობა, საგანგებოდ მისთვის დაეტოვებინათ, ცერად ჭრიდა ეზოს და საგნებს ისე ანათებდა, თითქოს მუზეუმის ექსპონატებიაო.

ლევანი გულმოკლული უყურებდა ტყრუშულ ღობეზე გადაფენილ ვეება საკერებელდადებულ სატინის ხალათს, ტაჭკის გატეხილ, მავთულებით და აპეურებით დაჯორჯლილ ხელნას, ღორებისაგან გახვრეტილ ღობეში ჩაგრეხილ სანაგვიდან წამოღებულ ლუმელს, მორყეულ გოდროხაზე მავთულით მიკოწიწებული შლანგის სახელურს და აშკარად გრძნობდა, რომ ცალთვალა მამა, მართალია, ცხოვრებას კრიჭაში ედგა და სიბერეს არ ეპუებოდა, მაგრამ ცხადი იყო ბერიკაცი ველარ ერეოდა მოზღვავებულ საქმეს და ოჯახი ვაჟკაცის ხელს ითხოვდა.

ლევანმა ეზოს კუთხიდან ახლაღა გაიხედა განათებულ დერეფნისაკენ. დედას მისი განკარგულება დაერღვია, ჯეჯიმგადაფარებულ ტახტზე ფუჩეჩდაცობილ ხარა-დოქის და ჩემოდნის გვერდით გოჭივით იწვა პარკებითა და შეკრულებით გატენილი ბადურა.

„ხომ გავაფრთხილე, — ლმობიერების და პატიების გრძნობით ჩაეცინა გუნებაში, — ნეტავი რას ჩაალაგებდა?“

ყველაფერი საგულდაგულოდ და ლაზათიანად იყო შეხვეული და მხოლოდ მსხვილი, ყვითელი კომშები იჭყიტებოდნენ ბადურიდან. ეტყობოდა, მერელა გახსენებოდა და ძალისძალად ჩაეტენა.

ბადურის ყელში შეტენილ კომშებში ლევანმა დედის იმდენი წუხილი, ზრუნვა და იმედი დაინახა, რომ ყელში რაღაც გაეჩხირა ძვალივით და კინალამ დაახრჩო.

კომშების ხილვამ სევდა გაუორკეცა, რადგან ერთი და იგივე მეორდებოდა წლების განმავლობაში., დედა მზრუნველობით ულაგებდა საგანგებოდ გადარჩეულ, სარცხის სიმსხო კომშებს, რომლებსაც მერე ალტაცებით იტაცებდა იზა, ელენე, ლალი, მეგი, ლედი, თამრიკო, ვიოლა, ცირა, მთვარისა, ლუნა, ეკა და სხვები. ზოგიერთ მათგანს ეტრფოდა ლევანი, ისინიც მხარს უბამდნენ და საქმე ზოგჯერ დაქორწინებამდე მიდიოდა, მაგრამ უცებ გამოჩნდებოდა ერთი შეხედვით უმნიშვნელო მიზეზი და ყველაფერი წყალში იყრებოდა: ზოგი ქალიშვილი თბილისში მუდმივად არ იყო ჩაწერილი, ზოგი არ მოსდევდა: მაგ ნაქირავებ უჯრაში როგორ მოვთავსდებითო, ზოგი ლევანს იქით ეპატიჟებოდა, მაგრამ ახლა ეს უკადრისობდა ზედსიძედ მისვლას. ეთერისთან მოილაპარაკა: ვიქირაოთ ოროთახიანი ბინა, სანამ ბინას მოგვცემენო, მაგრამ რომ იანგარიშეს, ორივეს ჯამაგირი არ ეყოფოდა ასეთ ბინას...

და რაც დრო გადიოდა, ლევანის გუნება-განწყობილება უკუღმართდებოდა.

მთვარიანი ღამის სიმყუდროვეში და ჭოტის გამომაფხიზლებელ კივილში უცებ ცხადად იგრძნო, რომ არავითარი სისხლხორცეული ძარღვი არ აკავშირებდა თბილისთან და რაღაც მექანიკურად და ნაძალადევად იყო მიტმასნილი მილიონიან ქალაქს.

„არ უნდა წავსულიყავ სოფლიდან, — სინანულით გაიფიქრა და სიცივეშეპარებული საცოდავად მოიბუზა, — მაშინ ჩემი კედელ-კუთხეც მექნებოდა, ცოლიც მეყოლებოდა, შვილიც და კაციც ვიქნებოდი... ახლა კი რა ვარ?“

სიგარეტი მოუნდა, მაგრამ მაგიდაზე დავიწყნოდა. სიცივისაგან აძაგძაგა. კოსტუმში უფრო მაგრად გაეხვია და მთვარით განათებულ მიდამოს მიაშტერდა. დიდხანს იდგა გაკელაპტრებული, ხარბად აკვირდებოდა ჩაბნელებულ ხევს, ვენახისპირა სერებს, გარინდულ საყდარს, ორკუზიან ბექობს, ჭოტის საბუდარ წარაფს, გორათა მოშავო კონტურებს და უცებ, თითქო გონება გაეხსნაო, დაინახა, იგრძნო, რომ ერთი შეხედვით ამ ჩვეულებრივ და ულაზათო შემოგარენში ჩამარხული იყო რაღაც ტკბილი, ახლობელი, ბავშობისდროინდელი, მტანჯველი და ძალზე მშობლიური გრძნობა-განცდა, რომელთან შედარებით ახლა არაფრად ეჩვენებოდა პირამიდების, ნილოსისა და სასტუმრო „კლეოპატრას“ სიდიადე...

„არ უნდა წავსულიყავი აქედან,“ — კვლავ გაიფიქრა და ცრემლებმა ხილვა დაუბნელეს.

მთვარემ სამხრეთ-დასავლეთით გადაიწია და გაფერმკრთალდა. ცამ იასამნისფერი გადაიკრა. კივილით დაღლილი ჭოტი მიყუჩებულიყო და წარაფიდან ჩამიჩუმი აღარ ისმოდა.

უფრო აცივდა. ხეების კენწეროებზე შერჩენილი ყვითელი ფოთლები სევდანარევი შარიშურით ეცემოდნენ ტოტებზე.

სოფელი ძილში წასულიყო.

მამლებმა მესამედ იყივლეს.

მსხალს სატრფოსავით ჩახუტებული ლევანი უხმოდ ტიროდა.

ჩანახატი

გიორგი ზედგინიძე

# გულს რომ არ ძალუძს...

მიჭქრის მატარებელი, ირწევა და არხევს მგზავრთაც. ვაგონის წინა სკამზე სამი შავთავსაფრიანი დედაბერი ზის. სამივე ოთხმოცს გადაცილებული. ერთი მოთქვამს, მეორე ხმას უწყობს, დროდადრო ეხმიანება; მესამეს თავი დაუხრია და იცრემლება.

— ვაი, დედა, დედა! როგორ უცებ გამოგვეცალე ხელიდან, ამის შემდეგ ველარ გავიგონებთ შენს ალერსიან სიტყვას, ველარც შენი ხელით გამომცხვარ მჭადს ვიხმევთ...

— ე, დედაჩემო, ნეტავი იმ დღეს, ამას წინათ რომ გნახე, როგორ მარდად ქსოვდი წინდებს, ჩემი გოგიტა ზამთარში ჩაიცვამსო!.. — მოთქმას აგრძელებს მეორე დედაბერი.

ვაგონში მყოფთ ეღიმებათ, ვიღაცამ კიდეც ჩაილაპარაკა:

— რაღა დროს ამათი დედაა?!

თვალცრემლიანმა დედაბერმა თავი ასწია, ხილაბანდით ცრემლი მოიწმინდა, ოდნავ მიბინდული თვალებით გადახედა მათ გასწვრივ მსხდომ მგზავრებს, მერე ხელი წაჰკრა მგოდებელთ:

— გაჩუმდით, გოგო, დაგვცინიან!

— ხედავ, გოგოო! — ერთმანეთს გადაუჩურჩულეს მგზავრებმა და ახლა ამან მოჰგვარათ ღიმილი.

რა ჰქნან საბრალო დედაბრებმა — დედის ტირილიც სასაცილოდ გაუხადეს... გაყუჩდნენ, მაგრამ გულს რომ არ ძალუძს გაყუჩება?!


ეროვნული ბიბლიოთეკა

მოდით, ჩვენი ანსამბლის შესახებ თხრობა სხვადასხვა გაზეთებში გამოქვეყნებული რეცენზიებიდან მოყვანილი ციტატებით დავიწყოთ. აი რას წერდნენ ეს უცხოური გაზეთები:

— „კურიერ ჯერნერი“ — ქართველ მომღერლებს ძალიან დიდი დინამიკური დიაპაზონის ხმა აქვთ, რომელიც შეიცავს ჩურჩულივით პიანოს და გასაოცარი ძალის ფორტეს; ტექნიკურად გუნდი განსაცვიფრებელია და სწორედ გუნდმა მისცა ამ საღამოს უდიდესი რეზონანსი...

„ნიუ-იორკ ტაიმსი“ — მართალია, ეს ცეკვები დადგმულია, მართალია, ეს ყველაფერი სცენაზეა წარმოდგენილი, მაგრამ მოცეკვავეთა დუეტები მართლა ფრენენ, ნამდვილ ხმლებს იქნევენ და ნამდვილ ნაპერწკლებს ისვრიან მათი ხმლები... ამ პროგრამაში მღერის მამაკაცთა შესანიშნავი გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობს თვალსაჩინო დირიჟორი გ. ბაქრაძე...

„ვაშინგტონ პოსტი“ — თავიანთი განწყობილებითა და ტემპერამენტით სრულიად სხვადასხვა ცეკვა და სიმღერა მუდამ იწვევდა მაყურებლის აღტაცებასა და მათ ნამდვილ სიხარულს ანიჭებდა...

„სირაკუზ პოსტ სტანდარტი“ — საოცარია ქალთა ცეკვა, ისინი პატარ-პატარა ნაბიჯებით ისე გრაციოზულად მოძრაობენ, იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს სცენა მოძრაობდეს მათ ფეხთა ქვეშ... ეს არის ზენიტამდე აყვანილი ეროვნული ცეკვა..

„მიჩიგან დეილი“ — თბილისის პოლიფონიური გუნდი ქართულ სიმღერას გასაოცარი სიზუსტითა და დახვეწილი გემოვნებით ასრულებდა...

„ვანკუვერ სანი“ — ქართველ მსახობთა გამოსვლებში გხიბლავდათ ბრწყინვალე კოსტიუმები, ტემპერამენტიანი, თავბრუდამხვევი მოძრაობები და ამაღელვებელი სიმღერები. განსაცვიფრებელი თვისება ქართული დასისა გახლავთ მისი მოძრაობის სრულყოფილი სიმეტრიულობა, თითქოს მოცეკვავეთა მიერ შექმნილი წყვილები, წრეები და და სხვა ილეთები მათემატიკურ ფორმულირებაზეაო დაფუძნებული...





# შეხვედრები ამერიკის მიწაზე

ეს მხოლოდ ნაწილია იმ მრავალრიცხოვანი ქებისა, რომლითაც გამოეხმაურა საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის საგასტროლო მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში ადგილობრივი პრესა.

ჩვენი კონცერტის პრემიერა შედგა ქ. ხარტფორდში. როგორც ცნობილია, პირველ გამოსვლაზე ბევრი რამაა ხოლმე დამოკიდებული; კარგი დასაწყისი რწმენას მატებს შემსრულებლებს და შემდგომი წარმატებების საიმედო გარანტიასაც იძლევა.

კონცერტის პირველი ნომრის დამთავრებისთანავე დარბაზიდან მქუხარე ტაში გაისმა. ნომერს ნომერი ცვლის, სიმღერას ცეკვა ენაცვლება, მერე ისევ სიმღერა ქუხს, დარბაზში კი ტაში არ ცხრება. მაყურებელი განცვიფრებულია, მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც ფირმა „კოლუმბია არტისტს მენეჯმენტის" წარმომადგენელს ს. ნიფელდს ეკუთვნის. დაიხურა თუ არა ფარდა, იგი სცენაზე შემოვარდა; სახე ასწითლებია, ხელში ცხვირსახოცი უკავია, ოფლს იმშრალებს და აღტაცებით ყვირის: „ბრავო!" ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელსა და მთავარ დირიჟორს გ. ბაქრაძესა და ანსამბლის მთავარ ქორეოგრაფს გ. დარახველიძეს „ბრავოს" შეძახილი არ აკმაყოფილებთ, ისინი სთხოვენ ს. ნიფელდს უფრო ვრცლად გამოთქვას თავისი მოსაზრება. „ჩემი აზრი გაიტერესებთ? — გაიძახის ნიფელდი, — თქვენ უკვე იცით იგი, მე იმათ აზრს ვერაფერს დავუმატებ!" და ხელს მაყურებელთა დარბაზისკენ იშვერს.

ჩავიცვით და ეზოში გამოვედით. თბილი ამინდია. უცებ მეხივით გავარდა „შენ ხარ ვენახის" ჰანგი. ყურს არ დავუჯერეთ: ხალხით სავსე ეზოში სწორედ ამერიკელები მღეროდნენ ამ ქართულ სიმღერას. ჩვენც შევუწყვეთ ხმა და ირგვლივ საამოდ დაიქუხა ჩვენებურმა უკვდავმა სიმღერამ. და აი, მაშინღა გაგვახსენდა რამდენიმე წლის წინათ მომხდარი ფაქტი.

მაშინ ჩვენი ანსამბლის წევრები და იენის უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდი უნგრეთში გაეცნენ და დაუმეგობრდნენ ერთმანეთს. ამერიკელმა სტუდენტებმა, რომლებსაც ძალიან მოეწონათ ქართული სიმღერები, ჩვენი დახმარებით შეისწავლეს ორი სიმღერა: „შენ ხარ ვენახი" და „მორბის არაგვი".

აი, ახლა თურმე სწორედ ეს სტუდენტები ესწრებოდნენ ჩვენს კონცერტს.

ერთმანეთს მივესალმეთ, მეგობრულად გადავხვიეთ ხელი და გაოცებულ ამერიკელთა გვერდით ისევ ავაგუგუნეთ ქართული „შენ ხარ ვენახი".

რამდენიმე კვირის შემდეგ ნიუ-იორკს ვეწვიეთ. პირველი კონცერტი „კარნინგი ჰოლის" ბრწყინვალე დარბაზში გავმართეთ. აქაც დიდი მოწონება და აღტაცება დავიმსახურეთ.

ქ. ელპასოში კონცერტის წინ ერთი მექსიკელი მანდილოსანი შემოვიდა სცენაზე და ყვავილების თაიგული მოგვართვა. დიდი წარმატება მოგვილოცა და შემდეგ ასეთი საგულისხმო ამბავი გვიამბო:

იგი თურმე რამდენიმე წლის წინათ თბილისში ყოფილა. ძალიან მოსწონებია ჩვენი დედაქალაქი; მერე ბაზარშიც შეუვლია, მისულა რომელიღაც ქართველ მეყვავილესთან, შეურჩევია ყვავილები, ხელჩანთა გაუხსნია და ფული ამოუღია. თქვენც არ მომიკვდეთ — მეყვავილეს ფული არ გამოურთმევია. საქართველოს სტუმარი ხართ და ფულს ვერ გამოგართმევთო.

—აი ახლა საშუალება მომეცა, რომ ასეთი გულუხვი ერის წარმომადგენლებს სამაგიერო გადაგიხადოთ, — ღიმილით გვეუბნება სცენაზე ამოსული მანდილოსანი. ამით როდი დამთავრდა ყველაფერი. ყოველი ნომრის დამთავრებისას, სცენაზე ყვავილების წვიმა ცვიოდა. საქმე იმაში გახლდათ, რომ ამ მანდილოსანს სხვებისთვისაც გაუნდვია თბილისში მომხდარი ამბავი და ისინიც ყვავილების თაიგულებით „შეიარაღებულნი" მოსულან კონცერტზე.

კიდევ ერთი შეხვედრა მინდა მოგითხროთ: ქ. კანზას სიტში კონცერტის შემდეგ, ავტოგრაფების დარიგების დროს, ერთი ახალგაზრდა მოვიდა ჩვენთან და გვკითხა: „თქვენ ხართ ღმერთთან მიწების განაწილების დროს რომ დააგვიანეთ?" დასტური რომ მიიღო, დააყოლა — „აი თურმე როგორები ყოფილხართ ქართველები, რომლებსაც დედამიწის საუკეთესო ადგილი გერგოთ".

წარმატებით დავამთავრეთ კონცერტები. დავემშვიდობეთ ამერიკას.. დავემშვიდობეთ იმ რწმენით, რომ ხალხს, მშრომელ ხალხს მეგობრობა და მშვიდობა სურთ. მოვდიოდით სამშობლოსკენ, გულში იმედად მოგვდევდა ის აზრი, რომ ჩვენს პლანეტაზე აღარ უნდა დაინთოს ომის ხანძარი, რომ ადამიანებმა ხელთ უნდა აიღონ და საიმედოდ დაიცვან მშვიდობა.

**როსტომ საგინაშვილი,**
ქართული ხალხური სიმღერებისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის წევრი.










● ჩიკაგო. მიჩიგანის ავენიუ. შენობა, რომელიც დიდ ხანძარს გადაურჩა.

● კონცერტი დამთავრდა.

● ანსამბლის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გურამ ბაქრაძე (შუაში) ანსამბლის წევრებთან.

● ქუჩის მუსიკოსი.

● ქუჩის მხატვრები ვანკუვერის სტენდის სახელობის პარკში.

● ტრამვაი სან-ფრანცისკოში.

**როსტომ საგინაშვილის ფოტო.**

მოთხრობა

ინკასატორი ზუსტად დანიშნულ დროზე მოვიდა, მაგრამ მოლარეს ფული შეკრული არ ჰქონდა.

— შვილო, ხუთი წუთი მომიცადე და ყველაფერი მზად იქნება, — შეეხვეწა დეიდა თამარი.

— ერთ წუთსაც ვერ მოგიცდი!.. შენს გარდა, ათას ვინმესთან ვარ მისასვლელი. ყველგან რომ ხუთ-ხუთი წუთი ვიცადო, მთელი ღამე არ მეყოფა.. ყველას რომ მოვრჩები, თუ დრო მეყო, მერე მოვალ შენთან, — მკვახედ მოუჭრა დეიდა თამარს ინკასატორმა.

— შენ არ გეღირსა ყველას შემოვლა! — ვითომ დაბალ ხმაზე ჩაილაპარაკა დეიდა თამარმა.

გასასვლელ კართან მისული ინკასატორი მაშინვე შემობრუნდა.

— მე კი მეღირსება, მაგრამ შენ ამალამ შინ წასვლა არ გეღირსება.. ეხლა მელოდე! — ისევ მკვახედ მოუჭრა ინკასატორმა და კარი მაგრად გაიჯახუნა.

აფორიაქებული მოლარე ერთ ხანს სდუმდა. ბოლოს ნელ-ნელა მოთოკა ნერვები. თვალებზე მომდგარი ცრემლები ცხვირსახოცით ამოიწმინდა და ფულის დაწყობას შეუდგა.

ხუთ-ექვს წუთში ფულის დასტები მართლაც უკვე მზად იყო. იჯდა დეიდა თამარი და მოუთმენლად ელოდა ინკასატორს. ის კი არ ჩანდა. კარგა დრო გავიდა. „ის ოხერი ნამდვილად აღარ მოვა“, — თავისთვის ჩაილაპარაკა დეიდა თამარმა და ფულის დასტებს დასწვდა, ხელჩანთაში რომ ვერ ჩასტია, იფიქრა, ასე უფრო არავინ დაეჭვდებაო, ადგა ფული გაზეთში შეახვია, ცელოფანის პარკში ჩადო, პორთფელი ზემოდან დააფარა და ქუჩაში გამოვიდა. ტაქსი დაბარებულივით გამოეცხადა. დეიდა თამარმა უკანა კარი გააღო, მანქანაში ჩაჯდა და მძღოლს გადაულაპარაკა:

— საბურთალო.

ტაქსი დაიძრა. სწრაფად გასრიალდა თბილისის გაჩახჩახებულ ქუჩებში, გაირბინა პეკინის ქუჩა და კანდელაკის ქუჩაზე გავიდა.

— აქ გამიჩერე! — ჩაილაპარაკა მგზავრმა. მძღოლმა მანქანა მარჯვნივ მიაყენა და დაამუხრუჭა. დეიდა თამარმა ფული სალონშივე მიაწოდა მძღოლს და მანქანიდან სწრაფად გადავიდა. ტაქსტი მაშინვე მოწყდა ადგილს. დეიდა თამარმა კიბე მშვიდად აიარა, ბინის კარი შეაღო, დერეფანში შევიდა, თავისი ხელჩანთა საკიდზე მიაკიდა და მხოლოდ მაშინღა გაახსენდა ცელოფანის პარკი, გაახსენდა და ორივე ხელი გამეტებით იტკიცა თავში.

— ვაიმე, დავიღუპე!.. მიშველეთ! მიშველეთ! — შეშლილივით კიოდა აცახცახებული ქალი.

— რა მოხდა!... რაშია საქმე?! — გაოცემული ოჯახის წევრები გარშემო შემოეხვივნენ თამარს.

— ფული!.. ოჯახი დაგიქციეთ!.. ფული ტაქსში დამრჩა!.. ფული!..

აცახცახებულმა ქალმა მთელი სახე ფრჩხილებით ჩამოიკაწრა, თავიდან ბლუჯა თმა ჩამოიგლიჯა, გიჟს დაემსგავსა.

— დამშვიდდი!... გვითხარი, გაგვაგებინე, რაშია საქმე?!..

— რა ფული დაკარგე? — გაიძახოდნენ სახტად დარჩენილი ოჯახის წევრები.

— ტაქსში დამრჩა სახელმწიფო ფული! — როგორც იქნა ამოღერღა ილაჯგაწყვეტილმა დეიდა თამარმა.

— რამდენი იყო?!

— ექვსი ათასი მანეთი!.. ინკასატორი არ მოვიდა... იმის ბრალია!.. იმას ამოუწყდა ოჯახი!..

დეიდა თამარმა კივილს უმატა, საცოდავი ქალი ფანჯრისკენ იწევდა, უნდა გადავვარდეო, მაგრამ ქმარი და შვილები ძალიძალად აკავებდნენ. კივილზე მეზობლები შემოცვივდნენ. შეიქმნა ერთი ჩოჩქოლი და ალიაქოთი.

ოთახში უცებ ვიღაც უცნობი ახალგაზრდა შემოვიდა.

დეიდა თამარი ერთ ადგილზე გაქვავდა, უცნობს დააშტერდა და გულშეღონებული უხმოდ ჩაიკეცა იატაკზე.

ისევ ატყდა წივილ-კივილი და გნიასი. მისცვივდნენ იატაკზე გაშოტილ ქალს, საწოლზე გადაიყვანეს, არიქა, სასწრაფო დახმარების მანქანა გამოვიძახოთო! ერთმანეთს ფეხებში ებლანდებოდნენ ოჯახის წევრები და მოზღვავებული მეზობლები.

ახლად მოსული უცნობი კუთხეში მიმდგარიყო და გასაოცარი სიდინჯითა და სიმშვიდით აკვირდებოდა ყველაფერს.

როცა დეიდა თამარი გონს მოეგო,

# ჩვენი მეგობარი დილარა

აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის ცნობილ მკვლევარსა და მთარგმნელს **დილარა ალიევას** შეხვდა მისი კოლეგა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი, პოეტი **ლეილა ერაძე** და რამდენიმე კითხვით მიმართა მას:

— ქალბატონო დილარა, სად ისწავლეთ ასე კარგად ქართული?

— მე ხომ თბილისში დავიბადე, თუმცა აზერბაიჯანულ სკოლაში ვსწავლობდი, ყურთ მაინც ჩამესმოდა ქართული, რომელიც ვერც დრომ, ვერც ქალაქიდან გადასვლამ ვერ დამავიწყა.

შვიდი კლასი რომ დავამთავრე, ჩვენი ოჯახი ბაქოში გადავიდა საცხოვრებლად. ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის სპარსული ენისა და ლიტერატურის განყოფილების დამთავრების შემდეგ თბილისში გამომგზავნეს ასპირანტურაში. შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში მკვლევარ ლევან ასათიანის ხელმძღვანელობით გავიარე ასპირანტურის კურსი. მინდა დიდი მადლიერების გრძნობით შევნიშნო, რომ ბატონი ლევანი და მისი ოჯახის წევრები დიდ მზრუნველობას იჩენდნენ ჩემს მიმართ.

პირველ ხანებში, რა თქმა უნდა, მიჭირდა, მაგრამ ჩემი ახლო მეგობრების: ვენერა ჯანგიძის, ეთერ შარაშენიძის, მაგალი თოდუას, ალექსანდრე გვახარიას, სარგის ცაიშვილის, რევაზ ბარამიძის, ნოდარ ალანიას, გიორგი ჯიბუტისა და სხვა მრავალთა დახმარებით ნელ-ნელა ავიდგი ენა ქართულად და სულ მალე უკვე გამართულად ვლაპარაკობდი.

ბატონი ლევანი მირჩევდა სამეცნიერო საბჭოებზე დასწრებას (სადაც ჩემი ყოფნა არ იყო სავალდებულო), სამეცნიერო სესიებსა და კონფერენციებზე მისვლას (ნახევარს თუ მაინც გაიგებ, ისიც კარგი საქმეაო), ქართულ სოფლებში მოგზაურობას; მხოლოდ ასე თუ ისწავლი ქართულსო. ჩემი მეგობრების შემწეობით ქართულ სოფლებში არ დავკლებივარ ქორწილსა თუ დღეობას, ტირილსა თუ გლოვას. შემოვლილი მაქვს თითქმის მთელი საქართველო.

— რა იყო თქვენი საკვალიფიკაციო თემა?

— ჩემი ბაქოდან ჩამოსვლის მიზანი და ჩემი საკვალიფიკაციო თემა აზერბაიჯანულ და ქართულ მხატვრულ ნაწარმოებებში ლიტერატურულ ურთიერთობათა ძიებნა იყო. კონკრეტულად, „აზერბაიჯანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობა XII-XIX საუკუნეებში“. მაშასადამე, ჩემი კვლევის სფერო მოიცავდა როგორც ძველ, ასევე მთელ მეცხრამეტე საუკუნეს, სადაც ყველაზე მკვეთრად ვლინდება ეს ურთიერთობა. ძველი ქართული ლიტერატურის შესწავლაში უაღრესად დიდ დახმარებას მიწევდნენ აკადემიკოსები კორნელი კეკელიძე და ალექსანდრე ბარამიძე. მათი ხელმძღვანელობით ბევრს ვმუშაობდი ლიტერატურის მუზეუმში, ხელნაწერთა ფონდში, სხვადასხვა არქივში. დავასრულე თემა, დავიცავი დისერტაცია და მშობლიურ ბაქოს დავუბრუნდი.

ასპირანტურაში სწავლების ოთხი წელი ჩემთვის იყო განუმეორებელი სკოლა, რომელიც ისე მძაფრად დააჩნდა სულს, რომ ვერავითარმა დრომ, სიშორემ და მომავალმა საქმიანობამ ვერ წაშალა ჩემში.

— ქალბატონო დილარა, ხშირად გიხდებათ საქართველოში ჩამოსვლა? თბილისთან განშორებამ, ოჯახმა, შვილებმა ხომ არ მოგწყვიტათ ქართულ ლიტერატურას, ქართულ საზოგადოებას?

— მართალი გითხრათ, თბილისიდან წასვლის შემდეგ ძალიან გამიჭირდა ბაქოში ცხოვრება. ოთხი წელი არც თუ ისე დიდი დროა, მაგრამ არც მცირეა. პირველ ხანებში თბილისი, ქართველი მეგობრები სიზმრადაც კი მყავდნენ გადაქცეულნი. დიდხანს მეგონა, რომ უთბილისოდ ვერ გავძლებდი; ერთი სული მქონდა ხოლმე შევხტომოდი მატარებელს და თბილისში გავჩენილიყავი. თბილისის ქუჩებში გავლას და ქართული სიმღერების მოსმენას არაფერი მერჩია. მერე თანდათან ჩავები ბაქოს ცხოვრების ფერხულში. მუშაობა დავიწყე ნიზამის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტში. გავთხოვდი, შემეძინა ორი ვაჟი, რომელთაგან უფროსს.



ტორტმანით წამოდგა, მძიმე-მძიმე ლასლასით მიუახლოვდა კუთხეში ატუზულ ახალგაზრდა კაცს, ხელიდან გამოგლიჯა ცელოფანის პარკი და ათრთოლებულმა მაგრად ჩაიკრა გულში.

გაოცებული ოჯახის წევრები და მეზობლები ხან დეიდა თამრს შესცქეროდნენ, ხან კუთხეში ატუზულ ნირშეცვლილ უცნობს.

დეიდა თამარმა ცელოფანის პარკი მუხლებზე დაიდო, სწრაფად ჩაყო ხელი შიგ და დასტა-დასტა ფულები გადმოყარა მაგიდაზე.

ოთახში ხამარისებული სიჩუმე ჩამოვარდა.

ოჯახის წევრები და მეზობლები ახლაღა მიხვდნენ რაში იყო საქმე, ვინ იყო ეს უცნობი ,ახალგაზრდა კაცი.

უცნობი კარისკენ შეტრიალდა.

— მოიცათ! — შესძახა, სკამიდან წამომხტარმა დეიდა თამარმა.

— მეჩქარება! მანქანაში კლიენტები მელოდებიან, — მიაგება მძღოლმა და ისევ დინჯი, წარბშეუხრელი სიდინჯით გავიდა ოთახიდან.

ვალერიან მოსაშვილი

# ლექსები

## ნოდარ ადეიშვილი

### კახეთი

ვნახე ქვეყანა, ზღაპრის სათავე,
ცისკრით მორწყული ვნახე ქუჩები,
ერთად ავხედე მზეს და ალავერდს,
ავყევი ალვებს ცის სილურჯემდი.
ვნახე ნიავის ტოტზე ლამუნი,
ფარა, მინდორი და სალამური.
კიდევ რა?!
კიდევ უფლის წყალობა,
შენი ფრთა,
შენი ხმა საამური.
ღმერთო!
მიცოცხლე ეს ცის გალობა,
ღმერთო!
მიცოცხლე ეს სიყვარული!

●

ეს ერთი მუხა აქ უნდა ჩავრგო,
აი, აქ, ჩემო მოხრილო ჩანგო!
როგორც ხსოვნა და ვედრება
როგორც,
ქარში მოყოლილ ქართლის
მწყემსების...
მე უკვე მიდგას იმ ჩრდილში ჯორკო
და წინაპრებზე ბაასს ვესწრები.
ეს ერთი მუხა აქ უნდა დავრგო,
აი, აქ, ჩემო მოხრილო ჩანგო!

## მერე იკითხე

ნუ გეფიქრება, ეს დღეც გაიარს,
თან გაიყოლებს ამ გარინდებას..
და ხელისგულზე ჭიამაიას
მოვეფერები და გაფრინდება.
დღეებს, რომელსაც ასე მოველი,
მწამს, სხვა ექნება მზვარე და ჩერო,
ჩემი საუფლო და სამყოფელი
მერე იკითხე, ძვირფასო ჩემო.

### სოფლის მონატრება

მორჩა, გათავდა
ეს მყუდრო ბინა,
მოდგა ასაკი გულზე ისრებით...
და განა ახლა ძილისთვის მძინავს, —
არამედ მისთვის რომ მესიზმრები.
აი, წვიმდა და გადილო წვიმამ,
აი, გამოჩნდნენ ველზე ცირები...

სულ გეწკრიალოს ხსოვნის
სიმძიმეს...
მაგ მშვენიერი მზით და წვიმებით.

## ზურაბ ქართლელი

### სიკეთე თესე

სიკეთე თესე!
სიმხნევე დარგე!
ავსა და ბოროტს
დაუვსე თვალი!
გამოაჩინე
ყოფნის სიკარგე!
გამოაჭენე
არყოფნის ბრალი!...
მაშინ ამაყად
შეგიძლია თქვა,
რომ მოხდილი გაქვს,
კაცობრიობის წინაშე ვალი!

## იმედი ჯახუა

●

კვლავ ცივად
წვიმა ცრის გუშინდელი,
მთლად მობუზულან ატმის კვირტები,
სუყველა კვირტში ზის გულწითელა
და უცახცახებს პაწაწა ფრთები.

●

ცა მაღალ, მთებზე,
ჩამოფხატული
ლამის გადაჭყვეს ღრუბლის
სიმძიმეს...
მოწყენა ისევ ჩამოჭყვა დუმილს...
ისევ იწვიმებს...

### ზაფხული

გალეულ ღელეს მისდევს მწყურვალი
და გათანგული სიცხით ნახირი
და მზე შიშინებს ცის სიმხურვალით,
ვით კვერცხის გული კეცზე დახლილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ხალხის სიყვარულით, გიორგი დავარქვი. ჩემ მეუღლესა და ბავშვებს შევაყვარე ქართული ლიტერატურა, საქართველო. ბაქოში მეგობრები ხუმრობით გაქართველებულ აზერბაიჯანელს მეძახიან და ჩემი შვილებიც ნახევრად ქართველობას იჩემებენ.

ჩემი სადოქტორო დისერტაციის თემა ისევ ჩვენი ერების ლიტერატურული ურთიერთობაა. აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე ჩემი მეცნიერ-კონსულტანტია და ხშირად მიხდება სამეცნიერო მივლინებით მასთან ჩამოსვლა. ჩემი სადოქტორო თემა ასეთია: „ნიზამი ქართულ ლიტერატურაში“. საკმაოდ რთული და შრომატევადი თემაა; თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ძველ ქართულსა და ძველ აზერბაიჯანულში, განსაკუთრებით სპარსულში (ნიზამის ძირითადი ნაწარმოებები სპარსულად აქვს დაწერილი) მიხდება კირკიტი, ადვილი წარმოსადგენია, რა სირთულეებთან მაქვს საქმე. როგორც იქნა, გავართვი თავი ამ სამუშაოს. ჩემი თემა დამთავრებულად შეიძლება ჩაითვალოს და ამ მეორე დისერტაციასაც, ალბათ, თბილისში დავიცავ.

— ჩვენ გვეამაყება, რომ ქართული ლიტერატურის სიყვარული მარტო სამეცნიერო საქმიანობაში კი არ გამოხატეთ, არამედ აზერბაიჯანული ლიტერატურა გაამდიდრეთ შესანიშნავი მხატვრული თარგმანებით, რომელთაც ქართულ და აზერბაიჯანულ პრესაში დიდი მოწონება ხვდა წილად. ისიც ვიცით, რომ თქვენ შესანიშნავად ფლობთ რამდენიმე ენას: თურქულს, სპარსულს, არაბულს, რუსულს, ინგლისურს, ქართულსაც, რა თქმა უნდა. აქედან რომელი ენიდან თარგმნით და რა გაქვთ დღემდე ნათარგმნი?

— გულწრფელად რომ გითხრათ, თარგმანზე გვიან დავიწყე მუშაობა. ისიც ჩემი ქართველი კოლეგების ჩაგონებით. ამიტომ დღემდე არც თუ ისე მდიდარია ჩემი ნათარგმნი ლიტერატურის თარო. ვთარგმნი მხოლოდ ქართულიდან, რადგან ქართული ლიტერატურა, მშობლიურის შემდეგ, ყველაზე ახლოა ჩემ სულთან, ჩემ აზროვნებასთან, ჩემ მისწრაფებებთან.

ჩემი ქართველი მეგობრები ყოველ ახალ, ჩემთვის საინტერესო წიგნსა და ჟურნალს მიგზავნიან ბაქოში. მეც პირველ სათარგმნად. თანამედროვე ქართველ პროზაიკოსთა მოთხრობები ავირჩიე, ჯერ ჟურნალ-გაზეთებში დავბეჭდე, მერე კი ცალკე წიგნებად გამოვეცი. ასეთი ორი კრებული შევადგინე და ვთარგმნე; გრ. ჩიქოვანი, რ. ინანიშვილი, ა. სულაკაური, თ. ჭილაძე, გ. ფანჯიკიძე და სხვები. სულ ახლახან ცალკე წიგნად ჩავაბარე არჩილ სულაკაურის მოთხრობები. მზად მაქვს მიხ. ჯავახიშვილის ნაწარმოებთა თარგმანი, რომელიც მწერლის საიუბილეოდ გამოვა. კიდევ მრავალი თარგმანი მაქვს ჩაფიქრებული, ზოგი დაწყებულიცა მაქვს, მაგრამ როდის დავასრულებ, არ ვიცი.

— სათარგმნ ლიტერატურას როგორ ირჩევთ, რა პრინციპს იცავთ?

— მეგობრის რჩევას ვისმენ, მაგრამ სათარგმნს მაინც ინტუიციით ვირჩევ... წავიკითხავ ნაწარმოებს და წიგნის დახურვისთანავე თუ არ დავამთავრე მასზე ფიქრი, თუ მისი გმირების ბედი მოსვენებას დამიკარგავენ, ვხვდები, რომ ასეთი ნაწარმოები ჩემი სათარგმნი ლიტერატურის პრეტენდენტი გახდება. ამის შემდეგ ისევ ვიწყებ მის კითხვას, უფრო სწორად, შესწავლას. თარგმნის დროს ძირითადად დედანს მივყვები; ვცდილობ, ქართული იდიომები აზერბაიჯანულს შევუთანხმო, შევუნარჩუნო ქართულის სურნელება და კოლორიტი. ხანდახან გადახვევაც მიხდება იმის გამო, თუ კი ასე უფრო მოიხდენს აზერბაიჯანული ენის ლექსიკა, აზროვნება.

— ამას წინათ ქართული პრესა იუწყებოდა, რომ თქვენი დიდი მცდელობით და უშუალო მონაწილეობით მიკვლეულია პოეტ აჰმედ ჯავადის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ პირველი აზერბაიჯანული თარგმანი, რომელიც ტოლს არ უდებს 1937 წელს რუსთაველის საიუბილეოდ სამი აზერბაიჯანელი პოეტის: ს. ვურღუნის, ს. რუსთამისა და მ. რაჰიმის მიერ თარგმნილ პოემას. როგორ მიაკვლიეთ, რა მუშაობა ჩაატარეთ და როდის იხილავს ეს თარგმანი დღის სინათლეს?

— აღნიშნულ თარგმანზე წარმოდგენაც არა მქონდა, რომ ბატონ ლევან ასათიანის ბინაზე ლიტერატორთა ერთ-ერთი საინტერესო შეკრების დროს, პოეტი სიმონ ჩიქოვანი გავიცანი. ბ-ნმა სიმონმა მაშინვე „ვეფხისტყაოსნის“ პირველი მთარგმნელი (აზერბაიჯანულად), მისი მეგობარი პოეტი აჰმედ ჯავადი გაიხსენა. თან დასძინა, რომ არაერთხელ დახმარებია მას პოემის თარგმნის დროს წამოჭრილი მრავალი საჭირბოროტო საკითხის გადაჭრაში.

ბაქოში დაბრუნების შემდეგ შევუდექი თარგმანის ძებნას. შევიტყვე, რომ თარგმანს გამოქვეყნება არ ღირსებია და მთარგმნელის გარდაცვალებასთან ერთად ისიც უგზოუკვლოდ დაკარგულა. დიდხანს ვეძებე და ბოლოს ხელნაწერთა ფონდში მივაკვლიე; რვეულის ფურცლებზე გაკრული, გაუგებარი ხელით ფანქრით დაწერილი თარგმანის შავ პირს. მე, როგორც ძველი ძეგლების მოტრფიალეს, არაბული შრიფტით დაწერილ ფერგადასულ თარგმანში ჩაყურყუმელავება და მისი ქართულ და რუსულ ტექსტებთან შეჯერება სახალისო საქმედ მექცა მთელი სამი წლის მანძილზე. ბოლოს, სრულიად გამართული პოემის ტექსტი გამომცემლობას ჩავაბარე და სულ მალე გამოვა.

— ქალბატონო დილარა, დიდი მადლობა საინტერესო საუბრისათვის. გისურვებთ კვლავ დიდსა და კეთილი მიზნების განხორციელებას!

# ეტიუდები დიდ ადამიანებზე

ანდრე მორუა

## ჟან კოკტო

დიდია კოკტოსთან შეხვედრით გამოწვეული სიხარული. იგი მძიმედ იყო ავად, მაგრამ ახლა მშვენივრად გამოყურება. ჯამბაზივით ეთამაშება აზრებს, პარადოქსების ბრწყინვალე ნაკადი გადაუდის ხელიდან ხელში.

ჩარლი ჩაპლინზე ვუამბობ. ჩარლიმ გუშინ გვითხრა, რომ ფონტენბლოში ყოფილა დაბადებული, საგასტროლო ტურნეს დროს. ჩვენ კი გვეგონა, იგი ლონდონში, ისტ-ენდში იყო დაბადებული.

— ჩარლი ჩაპლინი ჰომეროსია, — ამბობს კოკტო, — საბერძნეთის მრავალი ქალაქი იჩემებდა მის დაბადებას. მაგრამ დიდკაცნი არ იბადებიან — მათ დრო ამოაცენებს!

წინა დღით კომედი ფრანსეზში „შესანიშნავ საყვარლებს“ დავესწარი და ახლა კოკტოს ვესაუბრები ამ დაუჯერებელ და მედიდურ პიესაზე.

— მოლიერს არასოდეს ჰქონია მიზნად დასახული შედევრების შექმნა და ამიტომაც ქმნიდა მათ, — ამბობს კოკტო, — „შესანიშნავი საყვარლები“ კომიკური ოპერის „რიპის“ რევიუზე უკეთესად არ მიაჩნდა. უბრალოდ, იგი მოვალე იყო, დროდადრო მეფისათვის ეწერა რაიმე. მოლიერის თითქმის ყველა პიესა რაღაც მიზეზის გამო არის დაწერილი. მიზეზი კი უამრავი გახლდათ — ხან მეფის კარზე, ხან კი დასში მომხდარი რაიმე შემთხვევა.

შექსპირი საკუთარ თავს სერიოზულად არც კი ეკიდებოდა. მას შეეძლო ვინმეს თხოვნით, ძველისძველ სიუჟეტზე დაეწერა პიესა, შეეთხზა დრამა ან კომედია. იგი ყოველთვის როდი ინახავდა საკუთარ პიესებს. ჩვენდა საბედნიეროდ, ბევრი მათგანი დღემდე შემორჩა.

ვეთანხმები კოკტოს. თვით გოეთე ამბობდა, რომ პოემათა უმრავლესობა განსაზღვრული მიზეზების გამო იწერება. ჭეშმარიტებაა. აი, თუნდაც ჰიუგო: იგი ხან ლეოპოლდინასათვის, ხან ჯულიეტასათვის, ხან ლეონი ბიარისათვის და ხან ლუი-ფილიპესათვის წერდა. ვალერისაც უყვარდა შეკვეთით მუშაობა. შემოქმედს საკუთარ თავზე აღებული ვალდებულება აყალიბებს.

კოკტო ინგლისიდან დაბრუნდა. იგი ოქსფორდში იყო მიწვეული, სადაც დოქტორის ხარისხი — „ჰონორის კაუზა“ მიანიჭეს. მას ჩემსავით მოსწონებია შუასაუკუნებრივი ცერემონია — წითელი და შავი მანტიები, ძვირფასი ფორმის ქუდები და ლათინური მისალმებანი. რექტორი ეკითხებოდა სტუდენტებს: — Placetne vobis, domini[1]?

— Maxine placet![2] — პასუხობდნენ სტუდენტები.

საღამოს, ახლად გამომცხვარ დოქტორს, კრისტეჩერჩში, საზეიმო სადილის შემდეგ, სიტყვა უნდა წარმოეთქვა.

— ფრანგულად იტყვი? — შეეკითხა კოკტოს ერთ-ერთი მეგობარი, — ისინი ხომ ვერაფერს გაიგებენ!

— გაიგებენ! — თქვა იქვე მყოფმა პიკასომ, — მათ ჩვენზე უკეთ იციან ფრანგული. მათ ხომ ნასწავლი აქვთ ეს ენა!

---

1. კმაყოფილი ხართ რჩეულით?
2. ძალზედ კმაყოფილი.

# ამაგდარი

ბზვანელი ბიჭი ქუთაისში მიდის სწავლის გასაგრძელებლად. სოფელში შვიდწლიანი სკოლა დაამთავრა და ახლა ცოდნის წყურვილმა ქუთაისის მეორე ათწლედის კარამდე მიიყვანა. მერვე კლასში ჩარიცხვის განცხადება მოწიწებით მიართვა სკოლის დირექტორს ნიკო ნუცუბიძეს.

1927 წელი იყო. ამ დროს სოფლად მხოლოდ დაწყებითი შვიდწლიანი სკოლები არსებობდა. დასავლეთ საქართველოს სოფლის ახალგაზრდობა ქუთაისს მიაწყდა. ნიკო ნუცუბიძის სახელზე უკვე ექვსასი განცხადება იყო შესული, სულ კი ორასი მოსწავლე უნდა მიეღოთ მერვე კლასებში.

ბზვანელი ბიჭი, შალვა კანდელაკი, მთელი ათი დღის განმავლობაში სასწავლებლის კარს უტრიალებდა და ჩარიცხულთა სიის გამოკვრას ელოდა. მართალია სკოლის კომკავშირის მდივანი ნოე უგულავა გულს უკეთებდა, პირველ რიგში ისინი ჩაირიცხებიან, ვისაც შვიდი კლასი წარჩინებით აქვთ დამთავრებულიო, მაგრამ მღელვარება მაინც დიდი იყო. როგორც იქნა გამოაკრეს სიები. ბზვანელი ბიჭი ფრთაშესხმული გარბოდა შინისკენ, ოცკილომეტრიანი გზა ორიოდე საათში გაირბინა, რათა მთელი სოფლისთვის ეხარებინა, რომ იგი ქუთაისის მეორე ათწლედის მოწაფე გახდა.

შალვა კანდელაკს დღემდე არ ავიწყდება ნიკოლოზ ნუცუბიძის მგზნებარე სიტყვები, რომლითაც მან სასწავლებელში ჩარიცხულთ მიმართა.

მოწაფეების წინ იდგა საშუალოზე მაღალი, ენერგიული, შავგვრემანი კაცი.

„სურვილი შეგისრულდათ, — მიმართავდა იგი ახალგაზრდებს, — ჩარიცხული ხართ მერვე კლასში. სასიამოვნოა, რომ ახლად მიღებულთა შორის უმრავლესობა კომკავშირელები ხართ. კომკავშირმა, როგორც პარტიის მებრძოლმა რაზმმა და თანაშემწემ, ბევრი საგმირო საქმე გააკეთა სამოქალაქო ომისა და აღდგენით პერიოდში. ბევრი ჯერ კიდევ გასაკეთებელია. ჩვენ გვესაჭიროება პედაგოგები, ინჟინრები, ექიმები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები და სხვა დარგის მუშაკები. სასწავლებელში მიღება ყველაფერს არ სწყვეტს, საჭიროა ისწავლოთ წარჩინებულად, იშრომოთ მამაცურად, გიყვარდეთ პარტია, სამშობლო, ერი. ამის სისტემატიური, თავდადებული და ყოველდღიური შრომის შედეგად მიაღწევთ“.

პირველი ზარის დარეკვიდან, სკოლისთვის თავდადებული, გულისხმიერი, ამავე დროს მკაცრი ნიკოლოზ ნუცუბიძე თავს დასტრიალებდა აღსაზრდელებს...

1927 წლიდან როდი იწყება მისი პედაგოგიური მოღვაწეობა, მას სკოლის დირექტორობით არ დაუწყია ის დიდი საქმე, რომელსაც მთელი სიცოცხლე უანგაროდ და თავდადებულად ემსახურებოდა.

ნიკო ნუცუბიძე ადამიანთა იმ პლეადას ეკუთვნოდა, რომელიც ჩვენი საუკუნის პირველ ათეულ წლებში ჯერ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ავანგარდში იყო, შემდეგ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების საფუძველთა საფუძველი გახდა.

ნიკო ნუცუბიძის ცხოვრება და მოღვაწეობა ქუთაისთან იყო დაკავშირებული. აქ დაიბადა იგი მეცხრამეტე საუკუნის მიწურულს და აქ გაატარა თავისი სიცოცხლის სამოცი წელი.

ნიკო ნუცუბიძის თვალწინ იცვლებოდა ქუთაისი. ქუთაისი, რომელიც მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრიდან უკვე დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ქალაქს წარმოადგენდა, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე მისი ზრდის ტემპი ძალზე დაბალი იყო. ცარიზმი, ეროვნული კულტურისა და ეკონომიკის აღმავლობის დაუძინებელი მტერი, სწავლა-განათლებას მძიმე ლოდივით აწვა. აუტანელი იყო მაშინდელი ჩინოვნიკების აღვირახსნილი თავნებობა.

ჯერ მარტო ერთი ცნობილი ფაქტის გახსენება კმარა იმის საილუსტრაციოდ, თუ რა მძიმე, აუტანელ მდგომარეობაში იყვნენ იმდროინდელი პროგრესულად მოაზროვნე პედაგოგები და მოსწავლეები. ეს ამბავი ბევრმა გაიხსენა და ურიგო არ იქნება თუ მდგომარეობის საილუსტრაციოდ ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნავთ. ლაპარაკია ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში 1914 წელს ჩატარებულ გამოსაშვებ გამოცდებზე. წინა წელს თურმე 78 აბიტურიენტიდან 69 კაცმა დაამთავრა გიმნაზია. ასეთი რაოდენობით სწავლულ ახალგაზრდათა გამოშვება ელდად ეცა მთავრობას. უწყების გადაწყვეტილებით 1914 წელს გამოცდები ისე უნდა ჩატარებულიყო, რომ გამოსაშვებ აბიტურიენტთა რაოდენობა შეემცირებინათ, სახელი გაეტეხათ ხალხში პოპულარულ ქართული გიმნაზიისათვის და ბოლოს და ბოლოს საქმე გიმნაზიის დახურვამდე მიეყვანათ. ეს კი ზურგში დანის ჩარტყმას უდრიდა. გიმნაზიის დირექტორი, სახელგანთქმული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე იოსებ ოცხელი, გიმნაზიის ინსპექტორი (ახლანდელი სასწავლო ნაწილის გამგე) სილოვან ხუნდაძე და პედაგოგიური კოლექტივი აღშფოთებულნი იყვნენ სასწავლო ოლქის მიერ გამოცდებზე დეპუტატად წარმოდგენილ ინსპექტორის კორიცკის აღვირახსნილი საქციელით. ამ ერთმა კაცმა, რომელსაც ზურგს უმაგრებდა ორთავიანი არწივის რკინის რეჟიმი, ფეხქვეშ გასთელა მოსწავლე-ახალგაზრდობისა და პედაგოგიური კოლექტივის ადამიანობა და ღირსება. პირველსავე გამოცდაზე კორიცკიმ 82 გამოსაცდელიდან ოთხმოცდაორივე ჩაჭრა. საქმე დაიძაბა, რამდენიმე მოსწავლემ კორიცკის მოკვლა განიზრახა, მაგრამ ი. ოცხელისა და ს. ხუნდაძის დროულმა ჩარევამ ეს მოსწავლეები ხიფათისგან იხსნა და გიმნაზიაც გადაარჩინა. ბრძოლა მწვავდებოდა. ასეთ ვითარებაში იწრთობოდნენ და მომავალი ნათელი მიზნებისაკენ ისწრაფვოდნენ ოცხელის მასწავლებლები, რომელთა ჯგუფს ქედმოუხრელი, ფრიად განათლებული და ინტელიგენტი კაცი ნიკო ნუცუბიძეც ეკუთვნოდა.

არიან ადამიანები, რომლებიც მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ნივთიერი სიმდიდრის, ქონების დაგროვებით არიან გატაცებულნი, აგებენ სასახლეებს, აგროვებენ უამრავ თვალ-მარგალიტს... მაგრამ არიან ადამიანები, ერთის შეხედვით ისე წასულნი, თითქოს მათ ამ ქვეყნად არაფერი დაეტოვებინოთ.

აი ნიკო ნუცუბიძის დანატოვარი ნივთები: ოდესის უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების დიპლომი, ორ გვერდზე დაწერილი ავტობიოგრაფია, ერთ-ერთი გაკვეთილის კონსპექტი, 1944 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ გაცემული სიგელი, მისთვის საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდების მინიჭების შესახებ, რამდენიმე გაუ-

## ორსონ უელსი

ვილმორენებთან ვერიერ-ლე-ბუისონში ვიმყოფებით. ორსონ უელსი ვიღაც ამერიკელ ქალს ცოდვის რაობაზე ესაუბრება. ქალი უმტკიცებს, რომ ცოდვა ქრისტიანთა მოგონილია და რომ ძველად ეს ცნება საერთოდ არ არსებულა.

— სისულელეა, — შეეპასუხა ორსონ უელსი,— ველურ ადამიანებს ცოდვის შეგრძნება რომ არ ჰქონოდათ, ვერასოდეს მოხატავდნენ ლასკოს გამოქვაბულს. თუკი ცოდვა არ არსებობს, ხელოვნებაც არ არსებულა!

შემდეგ იგი საშა გიტრის „ნაპოლეონზე" საუბრობს, რომელშიც ჰუდსონ ლოუს როლის შესრულება მოუწევს.

— წარმატება გვხვდება წილად, დიდი წარმატება. საერთოდ, მსოფლიოში სანდო თემა ცოტაა. ნაპოლეონი ერთ-ერთი მათგანია. ნაპოლეონის ან ქრისტეს ცხოვრება თუ დაწერე, ასი ათასობით მკითხველი განაღდებული გეყოლება. ერთი ამერიკელი გამომცემელი მეუბნებოდა, რომ ლიტერატურაში მხოლოდ ორ თემას მოაქვს წარმატება —ან ლინკოლნის ან ძაღლის ბიოგრაფიას. და ერთ-ერთ თავის ავტორს მან შეუკვეთა წიგნი სახელწოდებით „ლინკოლნის ძაღლი".

წიგნი მილიონიანი ტირაჟით გაიყიდა.

## ფერნან ლეჟე

რადიოში ფერნან ლეჟეს გარდაცვალების შესახებ გამოაცხადეს. ამ ამბავმა ძალზედ დამამწუხრა. კვლავ თვალწინ მიდგას ეს მხიარული და გულთბილი ნორმანდიელი.

ჩვენ 1941 წელს ამერიკაში დავმეგობრდით (კალიფორნიაში, დარიუს მიიოსთან ერთად ფრანგულ ცენტრს ვხელმძღვანელობდით).

ლეჟე ამერიკელ სტუდენტებს ფერწერას ასწავლიდა, მიიო — მუსიკას, მე კი — ლიტერატურას. მსიამოვნებდა ლეჟეს გაკვეთილებზე დასწრება, ხშირად ვესწრებოდი კიდეც. მისი მჭერმეტყველება, მართლაც, რომ „ფერწერული" იყო.

— ჩვენ, ფრანგებს, — ეუბნებოდა იგი ახალგაზრდა ამერიკელებს, — სალი გემოვნება გვაქვს... ჩვენ შექმნაც და განმარტივებაც გვძალუძს. დროდადრო გამოჩნდება რომელიღაც უცხოელი — ბატონი რაფაელი ან ბატონი ვან დეიკი — და გვირყვნის ფრანგებს გემოვნებას. საბედნიეროდ, ეს დიდხანს არ გრძელდება.

კარგი და კეთილსინდისიერი კომპანიონი, საქმეში ნორმანდიელი გლეხის ეშმაკობას იჩენდა. მსმენია, რას ეუბნებოდა იგი ვიღაც მილიარდერს, რომელმაც მას სასაუზმე ოთახის მოხატვა სთხოვა.

— სხვა აქ ძროხას დაგიხატავდათ და ყავისფერ-თეთრ ლაქებს კონტურებით შემოსაზავდა. მე კი კონტურებს ამ კედელზე დაგიხატავთ, ხოლო — თეთრ-ყავისფერ ლაქებს მეორე კედელზე. მაშასადამე, იგივე ხარჯით, თქვენ ერთის მაგივრად ორ სურათს მიიღებთ.

და მან მიიღო შეკვეთა .

ლეჟე მშვენიერი კულინარი გახლდათ. როდესაც მე და ჩემს მეუღლეს სამშობლოს სევდა შეგვიპყრობდა, იგი თავის სახელოსნოში მიგვიპატიჟებდა და ნამდვილი ფრანგული კერძით გვიმასპინძლდებოდა. ამერიკაში მან რამდენიმე თავისი სურათი მაჩუქა. მათ დიდხანს ვერ შევეჩვიე. მაოცებდა სუფთა ფერის ზონებად დაყოფილი მყვირალა საღებავები. ახლა კი მე მათში მხატვრის ძალასა და მხიარულ ხასიათს ვგრძნობ.

ახლო მეგობარი დავკარგე.

თარგმნა გია ლოლაძემ.

---

ვითლებული სურათი... სულ ეს არის მთელი მისი ნივთიერი „ქონება".

... მაგრამ ძლიერ გაუჭირდა ბზვანელ ბიჭს, შალვას, სწავლა. დედა არ ყავდა, მამა კი ხელმოკლე კაცი იყო და შვილს ვერაფრით ეხმარებოდა. მეტი გამოსავალი არ იყო, სწავლისათვის თავი უნდა დაენებებინა. ეს რომ ნიკო ნუცუბიძემ შეიტყო, ბიჭი კაბინეტში დაიბარა, სულ დაწვრილებით გამოჰკითხა ოჯახური მდგომარეობა და ბოლოს გადაჭრით უთხრა: სწავლას თავს არ დაანებებო, მოკიდა ხელი შალვას და შინ წაიყვანა, ჯერ თავის მეუღლეს ნინოს წარუდგინა, ჩვენი სკოლის საუკეთესო მოსწავლეაო, მერე თავის ბიჭებს კუკურისა და ზურაბს მოუსვა გვერდით და თქვა, ამიერიდან მე სამი შვილი მეყოლებაო.

მზრუნველმა მამობილმა ბოლომდე მისდია შალვა კანდელაკს. ჭაბუკმა დაამთავრა სკოლა, ამავე სკოლაში დაინიშნა მასწავლებლად, შემდეგ ქუთაისის მეოთხე საფაბრიკო — საქარხნო შვიდწლიანი სკოლის დირექტორად დააწინაურეს. ნიკოლოზ ნუცუბიძე გახარებული იყო თავისი შვილობილის ხვედრით: „ვხარობ, რომ ჩემი აღზრდილი ასეთი თანამდებობის კაცია, მაგრამ, იცოდე, შალვა, საბოლოოდ უმაღლეს განათლებაზე უნდა იფიქროო". ახალგაზრდა კაცმა არა მარტო იფიქრა, აღმზრდელის რჩევა განახორციელა კიდეც. სტუდენტობისას მოსკოვში მას ხშირად მოსდიოდა ნიკო ნუცუბიძის მამობრივი სითბოთი აღსავსე წერილები და ხშირად წერილში ჩაკეცილი ფულიც.

დღეს, როცა თვალს გადაავლებთ ნიკო ნუცუბიძის ნამოწაფართა არმიას, გაოცდებით რამდენი სახელოვანი, რამდენი ძვირფასი ადამიანი აღუზრდია ამ ამაგდარ კაცს. დღეს ისინი, უკვე ჭარმაგნი, მადლიერების გრძნობით იხსენიებენ თავიანთ მასწავლებელს. როცა ამ ადამიანებს ნიკო ნუცუბიძეზე ესაუბრები, მათ თვალებში ბრწყინდება ის სინათლე, ბავშვობიდან რომ მოსდევს ადამიანებს; ბავშვობის წლები მთლიანად ხომ მასწავლებლების, აღმზრდელების ხელში მიდის და თუ რამ კარგს გაიხსენებ, ყველაფერი მაინც მასწავლებლებს, შენს ამხანაგებს უკავშირდება, მოგონებათა კეთილი სათავე სკოლაა.

როცა ნიკო ნუცუბიძეს იხსენიებენ, იგონებენ მისი კაცური კაცობის, მისი კეთილშობილური ადამიანობის დამახასიათებელ ამბებს. და თუ ეს ამბები დღესაც ასე ცხოვლად არიან შემორჩენილი ნამოწაფართა გონებაში, ესეც თავისებური სიმდიდრეა, ეს არის მაგალითი თუ როგორ უნდა იცხოვრო ამ ქვეყნად. ეს არის გზის მანათობელი შუქურა, რომელიც თაობიდან თაობას სიკეთედ გადაეცემა და სწორედ ეს არის კაცისთვის ყველაზე დიდი დანატოვარი სიმდიდრე.

ნიკო ნუცუბიძეს მოღვაწეობა მოუხდა რთულ და დაძაბულ პერიოდში. ჯერ იყო და მეფის რეჟიმის შავბნელ ხანაში იოლი როდი იყო მასწავლებლობა; დადგა ახალი ხანა და დრომ, ცხოვრების ახალმა გაკვეთილებმა სკოლის რეჟიმის, სწავლების მეთოდების შეცვლა და გადახალისება გამოიწვია.

ნიკო ნუცუბიძე ყველგან და ყველა დროში იყო და რჩებოდა თავისი მოწოდების სიმაღლეზე, იგი უაღრესად მზრუნველი კაცი იყო, მას შესწევდა უნარი ადამიანების გულში ღრმად ჩაეხედა, იგი ენდობოდა ვაჟკაცურ სიტყვას. 1923 წელს იანვარში, როცა სასწავლო წლის მესამე მეოთხედი დაიწყო, ნიკო ნუცუბიძეს ეწვია სამი ახალგაზრდა, გერმან ზონენაშვილი, გრიშა კაჭკაჭიშვილი და ალექსანდრე თვარაძე. მათ სთხოვეს ნიკო ნუცუბიძეს ჩაგვრიცხეთ მეექვსე კლასშიო, თან პირობა დადეს, აუცილებლად დავეწევით ამხანაგებს და სულ ხუთებზე და ოთხებზე ვისწავლითო. მიუხედავად იმისა, რომ სკოლაში ამ დროს ჩარიცხვა დებულებას ეწინააღმდეგებოდა, ნიკომ სწრაფად აულო ალღო, დარწმუნდა ყმაწვილების გულახდილობაში, სწავლისადმი მათ დიდ წყურვილში და თავისი პირადი პასუხისმგებლობით ჩარიცხა მეექვსე კლასში. სამივემ ივაჟკაცა, გაამართლეს ნიკოსადმი მიცემული სიტყვა და წარმატებითაც დაამთავრეს სკოლა. ასევე წარჩინებით დაამთავრა სმივემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.



ადამიანებისადმი ზრუნვა ნიკოს უპირველეს საგანს წარმოადგენდა, იგი მუშაობდა ქუთაისის განათლების განყოფილების გამგის მოადგილედ, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის ქუთაისის ფილიალის დირექტორად და ქალაქის პედაგოგიური კაბინეტის გამგედ. ყოველთვის დიდი ზრუნვით უწევდა მეთოდურ დახმარებას და ხელმძღვანელობას ქალაქისა და რაიონის ახალგაზრდა მასწავლებლებს.

... ბზვანელი ბიჭი წამოიზარდა, დავაჟკაცდა... ომის მრისხანე წლებში შალვა კანდელაკი ლაგოდეხის რაიონის განათლების განყოფილების გამგედ მუშაობდა. ერთ დღეს შალვას ქუთაისიდან ნიკო ნუცუბიძე ესტუმრა, თავის ყოფილ მოწაფე განათლების განყოფილებაში ინახულა. იმ დროს ლაგოდეხის პარტრაიკომის პირველ მდივნად მუშაობდა ნიკოს უმცროსი ძმა შალვა ნუცუბიძე. ძმაც ინახულა და ყოფილი მოწაფეც. მაინტერესებს შენი საქმიანობაო, უთხრა კანდელაკს.

და განა მარტო შალვა კანდელაკის, ბევრი ნამოწაფარის კვალს გაჰყოლია ნიკო ნუცუბიძე. მას მარტოოდენ ადამიანის ის პერიოდი როდი აინტერესებდა, როცა იგი მის ხელში ცოდნას და აღზრდას იღებდა, მას უფრო მეტად აინტერესებდა: რა კაცი დადგა მისი აღზრდილი, როგორ წარიმართა მისი შემდგომი ცხოვრება, რა სასარგებლო საქმეს დაადგა ცხოვრებაში და რა შემატა თავის სამშობლოს, თავის ერს, პარტიას და ხელისუფლებას.

დიახ, ამ წერილს რომ ვწერ, ჩემს წინ აწყვია ნიკო ნუცუბიძის მთელი დანატოვარი ნივთიერი „სიმდიდრე": ატესტატი, სურათები, ავტობიოგრაფია, ერთი გაკვეთილის კონსპექტი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სიგელი... მაგრამ გონების თვალი უფრო დიდ სიმდიდრეს ხედავს, იმ დიდ სიკეთეს, რაც მას ადამიანების გულში დაუთესია და ასე მზეობს იგი დღესაც, როცა ნიკო ნუცუბიძე ოთხმოცდაათი წლისა უნდა ყოფილიყო.

თენგიზ გოგოლაძე

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# ახალი ორლეანის სასწაული

## მელორ სტურუა

ორთაბრძოლის დაწყებამდე რამდენიმე საათი რჩებოდა. მოჰამედ ალი თავის ნომერში ტახტზე წამოწვა ახალი ორლეანის ოტელ „ჰილტონის“ მეჩვიდმეტე სართულზე. მისმა ერთგულმა საჭურველთმტვირთველმა და მარჯვენა ხელმა ჯინ კილროიმ მუდარით მიმართა იქ მყოფთ — სახელგანთქმულ მწერლებს, კინოვარსკვლავებს, მუსიკოსებსა და ბედნიერ თაყვანისმცემლებს, სასწაულით რომ მოეხერხებინათ და თავისი კერპის აპარტამენტებში შეეღწიათ, გაენთავისუფლებინათ აქაურობა.

— მოსვენება ესაჭიროება. სალამოთი ბრძოლა მოელის...

...იგივე ნომერი ახალი ორლეანის „ჰილტონში“, ოღონდ უკვე ორთაბრძოლის შემდეგ. მილეული და ოდნავ სევდიანი მოჰამედ ალი მძიმედ დაეშვა საწოლზე.

— რომელ საათზე დავნიშნოთ შენი ხვალინდელი პრესკონფერენცია? — შეეკითხა კილროი.

— რისი პრესკონფერენცია? ეგღა მაკლია სწორედ! — ჩაიბურდღუნა ალიმ.

— როგორ თუ რისი? ჩვეულებრივი, ბრძოლის შემდეგ ომი, შემაჯამებელი, — გაიკვირვა კილროიმ.

—არავითარი პრესკონფერენცია .მე სათქმელი არაფერი მაქვს!

ნომერში სიჩუმე ჩამოწვა. ვინ იფიქრებდა, რომ „ყველაზე მოლაპარაკე ჩემპიონი“ უეცრად მოკუმავდა თავის მარად დაუხეთქავ ტუჩებს, თანაც უმაღლესი ტრიუმფის დროს? ჩემპიონმა კი თავი ბალიშზე მიდო და მყის მიეცა ღრმა ძილს.

სასწაულმა, რომელიც მან მოახდინა „სუპერსახლის“ ახალი ორლეანის უდიდესი გადახურული მოედნის რინგზე, მისგან მოითხოვა იმ ფიზიკური და მორალური ძალების სრული, გამთანგველი დახარჯვა, რომელთაც იგი ამ თხუთმეტი რაუნდისათვის ექვსი თვის განმავლობაში აგროვებდა. და თუმცა თვეში ოცდაათი დღეა, რაუნდში კი — სამი წუთი, ძალა მაინც ძლივს ეყო. დიახ, რასაკვირველია, იგი პეპელასავით დაფარფატებდა რინგზე და კრაზანასავით იკბინებოდა ისე, როგორადაც წარსულ წლებში იცოდა ხოლმე, მაგრამ ახალგაზრდული ფრთების მაგივრად, ამჯერად ეტლითღა დაჰქროდა, რომელშიც ოსტატობა და ნებისყოფა იყო შებმული. კილროი მართალი იყო — ეს ბრძოლა ომს უდრიდა.



არ ვიცი, რა ესიზმრებოდა მას ბრძოლის წინ და ბრძოლის შემდეგ... არა მგონია, ლომები დასიზმრებოდა, როგორადაც ჰემინგუეის მოხუცს. პროფესიულ კრივში გრძელი. თვრამეტწლიანი ცხოვრებისა და ორმოცდათვრამეტი ორთაბრძოლის მანძილზე მას უბრძოლია რასისტების, ბნელი სპორტული საქმოსნების, კრივის გლადიატორების წინააღმდეგ, მაგრამ ლომებთან არასოდეს! და აი, დადგა დროსთან შებრძოლების ჟამი. ყველა, ვინც მისი დამარცხება ვერ შეძლო რინგსა და რინგს გარეთ, ვინც ვერა და ვერ აპატია მას ამერიკელი ზანგების მონური ხვედრის პროტესტის ნიშნად მდინარე ოგაიოში გადაგდებული ოლიმპიური ოქროს მედალი, ვინც არა და არ აპატია ვიეტნამის უსამართლო ომში წასვლაზე უარი, ვინც არ შეუნდო მეფური სახელის — ალიზე, — ვინც არ აპატია საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობა მაშინ, როცა ამ ქვეყანას განსაკუთრებული სიშმაგით ლანძღავდნენ ყალბი თავისუფლების ყალბი რაინდები, — 1978 წლის 15 სექტემბერს ყველანი ჩავიდნენ კონში თითქოსდა უტყუარად წაუგებელ კარტზე — დაუნდობელ დროზე. ჩავიდნენ და შეცდნენ, ჩავიდნენ და წააგეს.

„მე დავრბოდი ჩემი ფილტვების აალებამდე, ლამის ენის გადმოგდებამდე“, — იხსენებს ალი. იგი თავს არ ინდობდა ვარჯიშებზე, რამეთუ არ აპირებდა მომავალი მეტოქის დანდობას. „ოჰ, როგორ მძულდა ვარჯიშის უსასრულო წუთები და საათები! მაგრამ მე დაჟინებით ვუჩიჩინებდი თავს: ეწამე თუ გინდა კვლავ ჩემპიონი გახდე.“ — ამბობს ალი.

სპორტული ფორმა — ვის შეუძლია უარყოს მისი უპირველესი მნიშვნელობა? მაგრამ, გარდა ფორმისა, თუგინდ სპორტულისა, არის კიდევ შინაარსი. და ის შინაარსი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. „არავინ იცის, რა ხდება ადამიანის სულში, ყოველი აგური ადგილზეა, კედელი კი არა და არა შენდება“, —ქარაგმულად ამბობს ანჯელო დანდი, მრავალ წელიწადს რომ წვრთნის ალის. ლეონ სპინქსის მწვრთნელი ჯორჯი პენტონი ამბობდა: „ალი საშინელი შესახედია. ლეონმა უნდა დაამარცხოს იგი. ალი ავტომობილის იმ გაცვეთილ საბურავს ჰგავს, რომელიც რამდენიმე მილის შემდეგ გასკდება და მძღოლი დაიღუპება. მაგრამ აი რა მღრღნის მე — ალიში ჩამალულია მისტიკის მსგავსი რაღაც, რომლილაც მფარველი ანგელოზი წყალობს მას. და მის დანახვაზე შიში მიპყრობს“.

...მახსენდება ნიუ-ჯერსის შტატის პატარა ქალაქ სამონტონში ჩასვლა, სადაც ლეონ სპინქსის სავარჯიშო ბანაკი იყო. მე ვკითხე ლეონს, როგორი იქნებოდა მისი ტაქტიკა ალისთან განმეორებით ბრძოლაში. ახალგაზრდა ჩემპიონმა კრინტის დაძვრაც ვერ მოასწრო, რომ მთავარმა მენეჯერმა სემ სოლომონმა დაასწრო.

— მე გავიგონე თქვენი შეკითხვა, — მომმართა მან, -- ჩვენი სტრატეგია განმეორებით ორთაბრძოლაში ალისთან დაწვრილებით არის აღწერილი ჩემს წიგნში.

სოლომონმა კარგა მოზრდილი ტომი მომაწოდა. ეწერა: „სემ სოლომონი—ყველაფერი, რაც კრივის შესახებ ვიცი“. წიგნი დაუფარავი ცნობისმოყვარეობით გადავშალე და სახტად დავრჩი — მასში ცარიელი გვერდების მეტი არაფერი იყო! ჩემი გაცუცურაკებით დიდად ნასიამოვნები უნიკალური „ნაშრომის“ ავტორი ახარხარდა. ორთაბრძოლას თვალს რომ ვადევნებდი, უნებლიეთ გამახსენდა სოლომონის წიგნი. მწვრთნელის ხუმრობა მის აღზრდილს ტრაგედიად ექცა. დამრიგებელმა და მოწაფემ აღარ იცოდნენ, როგორ დაეოკებინათ ალი.

ალი შეუვალი იყო. გიგანტი განუწყვეტლივ როკავდა რინგზე, ლაღად მოძრაობდა. სივრცისა და დროის ბატონ-პატრონი იყო. ის თითქოს თავისებურად ამტკიცებდა აინშტეინის ფარდობითობის თეორიას, აბრუნებდა ახალგაზრდობას სისწრაფის მომატების საშუალებით. ორთაბრძოლის შედეგი ეჭვს არ იწვევდა. მეათე რაუნდისათვის ყოველთვის თავდაჭერილმა და ფრთხილმა ალის მწვრთნელმა თვით ანჯელო დანდიმაც კი თავს უფლება მისცა და ხმამაღალი რეპლიკა ესროლა.

— ჩვენ მხოლოდ გათხოვეთ ჩემპიონის წოდება. გუდ ბაი, ლეონ!

სამოცდაათიათასიანმა ბრბომ აღტაცების ღრიალი ატეხა, რაც ორთაბრძოლის უკანასკნელ წამამდე აღარ შეწყვეტილა, მერე კი ის ღრიალი გრიგალში, ქარიშხალში გადაიზარდა. ადამიანები რინგს მიაწყდნენ და დაიპყრეს იგი. ახალი ორლეანის „სუპერსახლში“ ყველაფერი ერთმანეთში აირია. განმკარგულებელმა ძლივს მიაღწია მიკროფონამდე, რომ მსაჯთა სამეულის გადაწყვეტილება გამოეცხადებინა — სამთაგან სამივემ გამარჯვება ალის მიანიჭა.

ამრიგად: 1978 წლის 15 სექტემბერს 36 წლის მოჰამედ ალი კვლავ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი კრივის მსოფლიო ასოციაციაში შემავალი მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის. ახალი ორლეანის სასწაული ახდა — ალიმ შესძლო იმის მიღწევა, რასაც მანამდე ვერც ერთმა სპორტსმენმა ვერ მიაღწია — მან მესამედ დაიბრუნა ჩემპიონის გვირგვინი.

პრესკონფერენციაზე გამოსვლისას (იგი შუაღამისას მაინც შედგა) ალიმ თქვა:

— რა თქმა უნდა, გავა დრო და მე მომიწევს რინგის დატოვება. ბოლოს და ბოლოს კრივი ჩემთვის მხოლოდ წინასწარი მოთელვაა ყველაზე დიდი ბრძოლის წინ, ბრძოლისა რასობრივი სამართლიანობის, თავისუფლების, მოქალაქეობრივი უფლებებისათვის...

მთელი ღამე, გათენებამდე ცეკვავდა და მღეროდა ახალი ორლეანი — ამერიკული ჯაზის დედაქალაქი, რომელიც მსოფლიოს კრივის დედაქალაქად იქცა. ლამაზი, სიცოცხლით ალსავსე, გრწყინვალედ მოელვარე, კარნავალით აღნიშნავდა და ზეიმობდა ალის გამარჯვებას ამერიკის ზანგი ხალხი, რომელმაც მსოფლიოს მისცა დიდი მუსიკოსები და სპორტსმენები, დიდები მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ ბუნებამ ისინი განსაკუთრებული ნიჭით დააჯილდოვა, არამედ უპირველესად იმიტომ, რომ მათ ეს ნიჭი თავიანთი ბედკრული ძმებისა და დების სამსახურში ჩააყენეს, დადეს რა ფიცი, გაანთავისუფლონ ისინი მონობის ბორკილებისაგან.

„ნედელიადან“ თარგმნა
გია კარბელაშვილმა.

# ბელადის სახელთან დაკავშირებული

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, წითელ მოედანზე აღმართულ მავზოლეუმში, რომელიც აკადემიკოს ა. შჩუსევის პროექტით არის აგებული, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი განისვენებს.

ვ. ი. ლენინის მავზოლეუმთან ხალხის ნაკადი არ წყდება. ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ ყველა ღირსეულ ადამიანს თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია, მოინახულოს დიდი ლენინის მავზოლეუმი და თავი დახაროს მისი უკვდავი ხსოვნის წინაშე.

ბერძნული სიტყვა „მავზოლიონი“ თავდაპირველად „მეფე მავზოლის აკლდამას“ ნიშნავდა.

მეფე მავზოლი, რომელიც მცირე აზიაში მდებარე ქვეყანას კარიას განაგებდა, ძველი წელთაღრიცხვის 353 წელს გარდაიცვალა. მისმა გულმოკლულმა ქვრივმა არტემისიამ გადაწყვიტა უკვდავეყო საყვარელი მეუღლის სახელი. დედოფალმა კარიის დედაქალაქ ჰალიკარნასში მსოფლიოს ყველა კუთხიდან მოიწვია ცნობილი არქიტექტორები, ქანდაკებისა და ფერწერის გამოჩენილი დიდოსტატები.

მათ წინაშე არტემისიამ დასახა ამოცანა: შეექმნათ ისეთი ხელთუქმნელი ძეგლი, რომელიც სამარადჟამოდ უკვდავყოფდა მისი ქმრის — მეფე მავზოლის სახელს, მის ძლიერებასა და სიბრძნეს.

მავზოლის ძეგლის მონუმენტალობამ, დახვეწილობამ და მდიდრულობამ მართლაც უკვდავყო მეფის სახელი. ეს მავზოლეუმი მსოფლიოს საოცრებათა შვიდეულში შევიდა.

მავზოლეუმმა მალე გავრცელება ჰპოვა ძველ რომში. საყოველთაოდ ცნობილია იმპერატორების ავგუსტიუსისა და ადრიანეს მავზოლეუმები. ასევე ცნობილია გურ-ემირის მავზოლეუმი სამარყანდში, აზერბაიჯანში ნახჩევანის მავზოლეუმი და სხვ.

ჩვენს დროში აშენებულ მავზოლეუმთა შორის უბრწყინვალესი არქიტექტურული ქმნილებაა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი.

საინტერესო ისტორია აქვს აგრეთვე წითელ მოედანს, სადაც ვ. ი. ლენინის მავზოლეუმია აღმართული.

წითელი მოედნის ფილაქანი ექვსი საუკუნის ხნოვანებისაა.

წითელი მოედნიდან კრემლში შესასვლელი სამების ჭიშკრიდან 1918 წლის 12 მარტს კრემლში პირველად შევიდა პროლეტარიატის ბელადი ვლადიმერ ილიას ძე ლენინი და იმ დღიდან იგი კრემლში მუშაობდა; სწორედ კრემლში წყდებოდა პირველი სოციალისტური ქვეყნის დიადი საჭირბოროტო საკითხები, მისი ნათელი მომავლის ლენინური გეგმები და პერსპექტივები.

მოსკოვის კრემლის ხუთი ლალისფერი ვარსკვლავი ცაზე ოქტომბრის რევოლუციის მე-20 წლისთავზე აელვარდა.

1937 წლის ოქტომბერში უზარმაზარი ხუთქიმიანი ვარსკვლავები კრემლის ყველაზე მაღალ წერტილებზე აიტანეს და საიმედოდ დაამაგრეს.

ამ მოხდენილმა ვარსკვლავებმა მართლაც რომ დაამშვენეს მაცხოვრის, სამების, ბოროვიცკის, ნიკოლსკის კოშკების ქონგურები.

ვარსკვლავების ფორმა და ზომა საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვრის ფ. ფედოროვსკის ხელმძღვანელობით შემუშავდა.

კრემლის ვარსკვლავები ახლა საამოდ კიაფობენ და ხალისით ავსებენ მშრომელ ადამიანებს.

# ცხელ-ცხელი ამბები

## ახალი ავტომატი

ჩვენს ქვეყანაში ამას წინათ დაამზადეს ორიგინალური მოწყობილობის აპარატი, რომელიც საშუალებას იძლევა ზუსტად განვსაზღვროთ ღრუბლების ინტენსიურობა.

ავტომატს შეუძლია რადიოინფორმაცია პირდაპირ გადასცეს აეროპორტის სადისპეტჩერო სამსახურს. ამ დროული და ზუსტი ინფორმაციის შეოხებით ფრენა უფრო უსაფრთხო და რეგულარული ხდება.

## მდიდარი საბადო

ყაზახეთში არცთუ ისე დიდი ხნის წინათ აღმოაჩინეს საშენი ქვის მდიდარი საბადო, რომლის მარაგი დაახლოებით 20 მილიონ კუბმეტრს შეადგენს.

ამას წინათ ალმა-ათაში გაიგზავნა საშენი ქვის პირველი პარტია, რომლითაც მოაპირკეთებენ ახლად აგებულ სხვადასხვა არქიტექტურულ ანსამბლებს.

## შეივსო ახალი ექსპონატებით

რუსეთში ასანთის პირველი ფაბრიკა პეტერბურგში დაარსდა 1837 წელს.

ახლა ჩვენს ქვეყანაში 20-ზე მეტი ასანთის მძლავრი ფაბრიკაა.

კალუგაში არსებობს ასანთის ისტორიის ამსახველი ერთადერთი მუზეუმი, რომელიც ამას წინათ შეივსო სამამულო და საზღვარგარეთის ფაბრიკების ახალი ექსპონატებით.

## 400 ტონა ტვირთი

ვოროშილოვგრადში დაამზადეს რკინიგზის გიგანტური ტრანსპორტიორი, რომლის სიგრძე 70 მეტრზე მეტია.

ეს ტრანსპორტიორი დიდი წონისა და გაბარიტის მქონე სხვადასხვა ტვირთის გადასატანად არის გამიზნული. მას შეუძლია თავისუფლად გადაზიდოს 400 ტონა ტვირთი.

## ოცი საუკუნის წინათ

ბალხაშის ტბის სამხრეთით მოძმე ყაზახეთის სწავლულებმა ამას წინათ მიაკვლიეს მთის ფრიალო კლდეებზე გამოსახულ ნახატებს, რომლებიც ორი ათასზე მეტი წლის წინათ არის შესრულებული.

კლდეზე გამოსახული სპილო ნათლად მიუთითებს, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს ძველთაგანვე ურთიერთობა ჰქონდათ ინდოეთთან.

## უძველესი სახელოსნო

ძველ ნოვგოროდში არქეოლოგიური გათხრების დროს სპეციალისტებმა მიაკვლიეს XII საუკუნის საიუველირო სახელოსნოს.

სახელოსნოში აღმოჩნდა დღემდე უცნობი სხვადასხვა იარაღი, რომლებსაც თავიან თსაიუველირეო სამუშაოებში იყენებდნენ ძველი ოსტატები.

სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ეს სახელოსნო დაახლოებით სამასიოდე წლის მანძილზე მოქმედებდა.

## გაიზრდება მოსავლიანობა

საქართველოში, იორის მაღალმთიან ბასეინში, მწყობრში ჩადგა 1000 კვადრატული მეტრის ექსპერიმენტული პოლიგონი, რომელიც ირწყვება ხელოვნურად გამოწვეული წვიმის საშუალებით.

სწავლულებს მიაჩნიათ, რომ ღრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედება მნიშვნელოვნად გაზრდის სარწყავი წყლის რესურსებს და 15-20 პროცენტით აამაღლებს ნათესების მოსავლიანობას.

# ეს საინტერესოა

ჩინეთში ამჟამად 825.000.000 ადამიანი ცხოვრობს ინდოეთში — 586 მილიონი, საბჭოთა კავშირში — 255 მილიონი, ამერიკის შეერთებულ შტატებში — 212 მილიონი, ინდონეზიაში — 128 მილიონი...

□

მოსახლეობის რაოდენობით მსოფლიოში ყველაზე დიდი ქალაქია ტოკიო; ამ ქალაქში ცხოვრობს 11 მილიონ 612 ათასი ადამიანი, ნიუ-იორკის მოსახლეობა 11 მილიონ 572 ათას კაცს შეადგენს, შანხაიში 10 მილიონ 820 ათასი ადამიანი ცხოვრობს, მოსკოვში — 10 მილიონ 767 ათასი...

□

საქართველოს მოსახლეობა 1978 წლის პირველი იანვრისათვის შეადგენდა 5.041.000 ადამიანს.

მოსახლეობას რაოდენობით ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქმა თბილისმა უკვე რამდენიმე ათასი ადამიანით გადააჭარბა მილიონის ზღვარს.

□

1976 წელს ჩვენი პლანეტის მოსახლეობამ 4 მილიარდს მიაღწია. ამჟამად ქალაქში ცხოვრობს მთელი მოსახლეობის 40 პროცენტი.

დემოგრაფთა აზრით, 2000 წლისათვის ქალაქებში უფრო მეტი მოსახლეობა იცხოვრებს, ვიდრე სოფლებში.

□

ჩვენს პლანეტაზე მარტო ესკიმოსებს არა აქვთ ახალი წლის დადგომის ზუსტი თარიღი. ახალი წელი მათთვის მხოლოდ მაშინ დგება, როცა პირველი თოვლი მოვა.

□

ბრაზილიის ჯუნგლებში ცხოვრობს ტომი, რომლის შემადგენლობაში მხოლოდ ქალები და ბავშვები შედიან. ამ ტომის ქალები ოსტატურად ხმარობენ შუბებს, ნადირობენ, თევზაობენ.

მამაკაცები სოფლებიდან მოშორებით ცხოვრობენ. მათ წელიწადში მხოლოდ ერთხელ აქვთ უფლება ნახონ თავიანთი ცოლები.

თებერვალში მამაკაცები სოფლებში შედიან და ორი კვირის განმავლობაში რჩებიან ოჯახში.

□

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სპეციალისტებმა დააპროექტეს უზარმაზარი ტანკერი, რომლის კორპუსი მთლიანად რკინა-ბეტონისაგან შედგება.

300 მეტრი სიგრძის ტანკერი ძირითადად ბუნებრივი გაზის გადასატანად არის გათვალისწინებული.

იგი საკმაოდ მყარია და ჩვეულებრივ გემთან შედარებით გაცილებით იაფი ჯდება.

□

როგორც ცნობილია, ფოსტით გასაგზავნ წერილზე თარიღის შტემპელის დასმა ინგლისში შემოიღეს.

ინგლისში დღესაც შემონახულია პირველი შტემპელიანი წერილი, რომელიც 1661 წელს ქალაქ ჯერმიდან გაუგზავნიათ დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში.

□

„ნორდმენდე“ — ასე ეწოდება ერთ-ერთ დასავლეთ გერმანულ ფირმას, სადაც მეტად ორიგინალური ტელევიზორი დაამზადეს.

ტელევიზორს გამოსახულებათა გადმოსაცემათ ორი ეკრანი აქვს ჩამონტაჟებული.

მაყურებელს შეუძლია ამ ტელევიზორზე ერთდროულად ორ სხვადასხვა გადმოცემას ადევნოს თვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თითქმის დაუჯერებელი

ინდოელმა ვინმე გ. ავალაპამ რეკორდი დაამყარა... ქვეწარმავლების დაჭერაში.

წლების მანძილზე მან დაიჭირა, ზოოპარკებსა და ქვეწარმავლების ფერმებს ჩააბარა... 8500 შხამიანი გველი.

*

ბრიუსელში გაიხსნა სპეციალური კლუბი. ამ კლუბის საფირმო სასმელია კოკტეილი, რომელიც მზადდება მეტად სასარგებლო და უუათიანი საკვებისაგან... თავზის ქონისაგან.

*

საბერძნეთში სიმსუქნის წინააღმდეგ საბრძოლველად ასეთი კანონი შეიმუშავეს: ის, ვინც 70 კილოგრამზე მეტს იწონის, კარგავს უფლებას... მანქანა მართოს.

*

შვეიცარიაში დაამზადეს სიგარეტები, რომლებიც თამბაქოს მწეველებში დიდ შიშს იწვევს.

საქმე იმაში გახლავთ, რომ წევის დროს სიგარეტები მოულოდნელად... ფეთქდება და საკმაოდ მგრძნობიარე ელექტრულ დარტყმას აყენებს თამბაქოს მოყვარულებს.

*

უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების კერძო კოლეჯებში 77 პროცენტით გაიზარდა სწავლის ღირებულება და მიაღწია 30000 დოლარს.

*

იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადში ამას წინათ ძეგლი დაუდგეს... ბებიას.

ბებიას ქანდაკებას ასეთი წარწერა აქვს: „ბებიას შვილიშვილების აღზრდაში განსაკუთრებული ღვაწლისათვის“.

*

1920 წელს ჩვენს პლანეტაზე 23 მილიონი ტელეფონი იყო. მათმა რიცხვმა დღეისათვის 370.000.000 მიაღწია.

დღეს ყოველ წუთში პლანეტაზე 40 ტელეფონი იდგმება.

*

ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობას ბინებში ჰყავთ... 60.000.000 თევზი და 15.000.000 სხვადასხვა ფრინველი.

*

სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, იტალიის მუზეუმებიდან და არქეოლოგიური გათხრების ადგილებიდან 1966 წლიდან 1976 წლამდე მოიპარეს ხელოვნების 6 ათასი უნიკალური ნაწარმოები.

მათი უმრავლესობა დღემდე უგზო-უკვლოდ არის დაკარგული.

*

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ საკვირაო ნომრის ქაღალდისათვის 7.900 კუბური მეტრი მერქანია საჭირო.

ამ რაოდენობის მერქნის მისაღებად საჭიროა... 6 ჰექტარი ტყე.

*

საფრანგეთში დაამზადეს საგანგებო მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაა დამტვერიანებული ჰაერის გაწმენდა.

თითოეული „ქუჩის მტვერსასრუტი“ წელიწადში ასუფთავებს 100.000.000 კუბურ მეტრ ჰაერს.

## სილამაზის დედოფალი

ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა.

იტალიაში ის-ის იყო დამთავრდა სილამაზის კონკურსი, მაგრამ კონკურსში გამარჯვებული „სილამაზის დედოფალი“ არსად ჩანდა.

ბოლოს შენობის გასასვლელთან მიაკვლიეს მას. „მის იმპერიის“ ტიტულის მომპოვებელი „სილამაზის დედოფალი“ შეუმჩნევლად ცდილობდა გაპარვას.

ბოლოს როგორც იქნა დადგინდა, რომ ქალთა სქესის კონკურსი გამარჯვებული პიროვნება... მამაკაცი იყო.

პარიზის უნივერსიტეტის ერთ-ერთმა სტუდენტმა ვაჟმა, რომელმაც თურმე მეგობრებთან სანაძლეო დადო, ასე გაამასხარავა კონკურსის ჟიური.

## ერთადერთი გამონაკლისი

ამერიკის შეერთებულ შტატებში მოხდა ასეთი საოცარი ფაქტი: კალიფორნიის შტატის მცხოვრებმა ვინმე ველტმანმა თავისი უნივერსალური მაღაზია მიჰყიდა... საკუთარ ძაღლ „კრეტს“.

უნივერმაღი გაიყიდა 100.000 დოლარად. გარიგება გაფორმდა ყოველგვარი კანონის დაცვითა და ნოტარიალური წესების ზუსტი დაცვით.

ერთადერთი გამონაკლისი ის იყო, რომ „კრეტსმა“ ვერ შეძლო ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერა.

ყველა ეს სცენა იმიტომ გათამაშდა, რომ ველტმანს არ სურდა, ქონების განაწილების დროს, ეს უნივერმაღი მის ყოფილ ცოლს რგებოდა წილად.

## ორი დედა

ასეთი საოცრებაც გვხვდება ბუნებაში.

ტყუპისცალი დები ბლაზეკები ერთმანეთთან შეზრდილები დაიბადნენ.

მათ ერთი წლის ასაკში დაიწყეს სიარული, ლაპარაკი კი ორი წლის ასაკში ისწავლეს.

როცა ერთი და ავად გახდებოდა, ხშირ შემთხვევაში, მეორე და სრულიად ჯანმრთელად გრძნობდა თავს.

როდესაც დაქალიშვილდნენ, მოხდა ისე, რომ ერთ-ერთი და დაორსულდა და ნორმალურად იმშობიარა.

მეორე და პირველი დის ფეხმძიმობის პერიოდში არაფერს გრძნობდა.

ბავშვის შობის შემდეგ რძე ორივე დას გამოაჩნდა და ისინი მორიგეობით აწოვებდნენ ძუძუს ახალშობილს.

## ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა

ამერიკელ მოქალაქეთა ზნეობის დამცველი კლუბი — აი, ასეთი კლუბიც არსებობს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კლუბი ათასზე მეტ წევრს აერთიანებს.

ზნეობის დამცველთა კლუბის წევრების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ რაც შეიძლება სწრაფად შეიმუშაონ სხვადასხვა ცხოველების... ტანსაცმლის მოდელები.

კლუბის წევრებს მიაჩნიათ, რომ ცხოველების „სიშიშვლე“ ამორალურად მოქმედებს მოზარდებზე. მათი აზრით, ცხენებმა და ძროხებმა უნდა ატარონ მათვის საგანგებოდ შეკერილი სპეციალური აიჯაკები, ძაღლებმა და კატებმა აუცილებლად უნდა ჩაიცვან ქვედატანები...

გარეკანის პირველ გვერდზე: აჩუ, აჩუ, ცხენო! თარხან არჩვაძის ფოტო.

გადაეცა ასაწყობად 11/III-79 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/IV-79 წ. ქაღალდის ზომა 10×108 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 2,5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 3,5 სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4,9, ტირაჟი 52.450 შეკვ. 728 უე 06567 ფასი 30 კაპ.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი
380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42
ტელ. — მთ. რედაქტორის — 99-54-66,
პ/მგ. მდივნის — 99-82-69, განყოფილების გამგეების — 93-28-42, 99-01-39.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.







მხატვარ მურთაზ აბაშიძის ბუნების დაცვისადმი მიძღვნილი პლაკატები.





ეროვნული ბიბლიოთეკა



გაზაფხულის პეიზაჟები.

თარხან არჩვაძის ფოტო.



ИНДЕКС 76056